ლევან ზ. ურუშაძე

ჩემი ბაბუა

ევგენ დვალაძე

და ბებია

თამარ კუცია-დვალაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლევან ზ. ურუშაძე

ჩემი ბაბუა – ევგენ ღვალაძე
და
ბებია – თამარ კუცია-ღვალაძე

გამომცემლობა
კავკასია

ეროვნული ბიბლიოთეკა

929(479.22) + 821.353.1 - 94
ეროვნული ბიბლიოთეკა
F114.666
3

რედაქტორები:
მიხეილ წერეთელი
საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის
დირექტორის მოადგილე
ოთარ ჯანელიძე
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი

კომპიუტერული უზრუნველყოფა
ნანა ბაცანკალაშვილის

ISBN 978-9941-9508-2-7
© გამომცემლობა „კავკასია", 2017.

საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნაშრომი ეძღვნება ლევან ურუშაძის
ბაბუას – ევგენ ღვალაძეს და
ბებიას – თამარ კუცია-ღვალაძეს

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩემი ბაბუა – ევგენ ღვალაძე
სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში დაფერფლილი სიცოცხლე

სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის დაფერფლილი სიცოცხლე – ეს ეხება ბაბუაჩემს – დედაჩემის მამას ევგენ ღვალაძეს.

აღსანიშნავია, რომ ღვალაძეების გვარიდან ეს შტო იყო ერთადერთი, რომელმაც მხედრული წარჩინების წყალობით დაწინაურებას მიაღწია და დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა.

საკმარისია აღინიშნოს, რომ ევგენ ღვალაძის ბაბუის მამა და დათიკი ღვალაძე (1770-იანი წლების შუა ხანები – 1850-იანი წლების დამდეგი) სვერის ცნობილი ციხესიმაგრის უკანასკნელი ნაცვალი (მოურავის მოადგილე), იმერეთის 1810-1811 წლების ანტირუსული აჯანყების აქტიური მონაწილე და სვერის იოანე ნათლისმცემლის სახელობის ეკლესიის (აიგო 1801 წელს) ქტიტორი იყო. ხსენებული ციხის ნაცვალი იყო მისი მამაც – იოსები. სოფელი იმდენად დიდ პატივს სცემდა დათიკის, რომ მისივე ხელმძღვანელობით აგებულ ეკლესიაში დაკრძალეს. ევგენ ღვალაძის ბებია (მამის დედა) – მართა ჯაფარიძე, დედით წერეთელი და იმერეთის მეფის სოლომონ I-ის კარის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოძღვარისა და აღმზრდელის სვიმონ წერეთლის ბადიში გახლდათ და ამავე დროს, იმერეთის მეფის დავით II-ის (ზეობის წლები 1783-1790) შთამომავალი.

ღვალაძეების ოჯახის ახლო ნათესავები იყვნენ გამოჩენილი ეროვნული მოღვაწეები – ძმები ვასილ და მიხაკო წერეთლები, ცნობილი სასულიერო და საზოგადო მოღვაწე, კეთილმოწესე დეკანოზი იოსებ წერეთელი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძველი ისტორიის პროფესორი ალექსანდრე წერეთელი, აღმოსავლეთმცოდნეობის ქართული სამეცნიერო სკოლის ფუძემდებელი, აკადემიკოსი გიორგი წერეთელი, თვალსაჩინო სამართლისმცოდნე აკადემიკოსი თინათინ წერეთელი, ცნობილი მრეწველი, ქველმოქმედი და საზოგადო მოღვაწე ვლადიმერ (ლადო) წერეთელი, საქართველოს პირველი რესპუბლიკის (1918-1921) ეროვნული არმიის პოლკოვნიკი, 1924 წელს ბოლშევიკების მიერ დახვრეტილი ეკო წერეთელი, რუსული და ბოშური რომანსების ცნობილი შემსრულებელი თამარ წერეთელი, ცნობილი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე ელეფთერ ღვალაძე, ბიოქიმიის ქართული სამეცნიერო სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებელი, პროფესორი ვარლამ ღვალაძე და სხვანი.

ევგენ ღვალაძის პიროვნულ ჩამოყალიბებაზე დიდი გავლენა იქონია ნათლიამ, ცნობილმა ექიმმა, პუბლიცისტმა და საზოგადო მოღვაწემ, 1917-1919 წლებში საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრმა, 1917 წელს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთმა დამფუძნებელმა, ვასილ წერეთელმა (1862-1938).

1917 წელს გენო ღვალაძემ დაამთავრა ჭიათურის სამოქალაქო სასწავლებელი, სადაც ასწავლიდნენ ცნობილი პედაგოგები და საზოგადო მოღვაწეები – ივანე გო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მელაური და ნიკოლოზ ჯაყელი, მას ასწავლიდა უფროსი ბიძაშვილი, ცნობილი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე ელეფთერ ღვალაძე.

იმავე, 1917 წლის დამლევს, ევგენ ღვალაძე სწავლის გასაგრძელებლად თბილისში ჩამოვიდა და იმავე წელსვე, ცნობილი პუბლიცისტისა და პოლიტიკური მოღვაწის სეით დევდარიანის რჩევით სოციალ-დემოკრატიული პარტიის ახალგაზრდულ ორგანიზაციაში გაწევრიანდა, რომლის წევრიც იყო 1923 წლამდე.

1918 წელს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებისთანავე, უნივერსიტეტთან გაიხსნა სრული გიმნაზიის სტატუსით მოქმედი სასწავლებელი – „საერთო განათლების კურსები", რომელიც მისი დირექტორის პროფესორ შალვა ნუცუბიძის პატივსაცემად, იმთავითვე იქნა სახელდებული „ნუცუბიძის კურსებად". სასწავლებლის გახსნისთანავე ევგენ ღვალაძე „კურსების" პირველ ჯგუფში ჩაირიცხა. მასთან ერთად სწავლობდა მისი მომავალი მეუღლე, შემდგომში ცნობილი მკვლევარი-ბიბლიოგრაფი და პედაგოგი, საქართველოს კულტურის დამსახურებული მოღვაწე თამარ კუცია-ღვალაძე (1902-1986).

გიმნაზიაში გენო ღვალაძესთან ერთად სწავლობდნენ შემდგომში ცნობილი მოღვაწენი: ტერენტი გრანელი, მარკოზ ტუღუში, ისიდორე მანწკავა და სხვანი. პედაგოგები იყვნენ გამოჩენილი მამულიშვილები: მწერალი და საზოგადო მოღვაწე ვასილ ბარნოვი (ბარნაველი), პროფესორი ივანე ჯავახიშვილი, პროფესორი გიორგი ახვლედიანი, პროფესორი შალვა ნუცუბიძე, პროფესორი დიმიტრი უზნაძე, პროფესორი გიგო ნათაძე, ცნობილი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე ერასტი ფაღავა, პროფესორი მიხეილ ზანდუკელი, ცნობილი ლექსიკოგრაფი ალექსანდრე ნეიმანი და სხვანი.

ევგენ ღვალაძემ სასწავლებელი წარჩინებით დაასრულა 1920 წელს (პირველი გამოშვება).

გიმნაზიის დასრულებისთანავე, 1920 წლის ივლისში, ევგენ ღვალაძე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო სამინისტროში გამოცხადდა და საქართველოს ეროვნულ არმიაში ჩარიცხვა ითხოვა. მანამდე, 1918 წელს, საქართველოს სამხედრო კავშირის წევრი გახდა, ხოლო 1919 წელს საქართველოს განთავისუფლებისათვის ბრძოლაში დაზარალებულთა დამხმარე საზოგადოება „გიორგის" წევრად მიიღეს.

1919 წელს, როგორც მოხალისე, ევგენ ღვალაძე მონაწილეობდა თურქი ასკერების წინააღმდეგ ბრძოლებში. ყოველივე ამის გათვალისწინებით მისი თხოვნა დააკმაყოფილეს და ლეიტენანტის წოდებით განაწესეს დივიზიაში, რომელსაც სათავეში ედგა გენერალი გიორგი მაზნიაშვილი.

1921 წლის თებერვალში პორუჩიკი ევგენ ღვალაძე აქტიურად მონაწილეობდა კოჯორ-ტაბახმელას ფრონტზე ბოლშევიკური რუსეთის მე-11 წითელი არმიის წინააღმდეგ ბრძოლებში, რაც სათანადოდ იქნა დაფასებული, ხსენებული წლის 20 თებერვალს – მას ფრონტის ხაზზე „თეთრი გიორგის" ჯვარი გადაეცა. იმავე წლის მარტში ასევე აქტიური მონაწილეობა მიიღო აჭარასა და ბათუმში შემოსული თურქული სამხედრო შენაერთების წინააღმდეგ ბრძოლაში. გენერალ მაზნიაშვილის და მისი დივიზიის ძალისხმევის შედეგად აჭარის მთელი ტერიტორია გაიწმინდა თურქი ასკერებისაგან, რომლებიც ბოლშევიკურ რუსეთთან შეთანხმებით მოქმედებდნენ.

1922 წლის 26 მაისს მან, როგორც საორგანიზაციო ჯგუფის წევრმა (ჯგუფს ხელმძღვანელობდა კონსტანტინე გამსახურდია), მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა თბილისში

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი მანიფესტაციის ორგანიზებაში. ეს გახლდათ პირველი მასშტაბური ანტი-საოკუპაციო აქცია, რომელმაც რეალურად ააგორა დაუ-მორჩილებლობის მთელი შემდგომი ტალღა. ეს საგანგე-ბოდაა ხაზგასმული ქართულ ემიგრანტულ გამოცემებში, კერძოდ, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრის ვლასა მეგრელაძის მოგო-ნებებში.

საპროტესტო მანიფესტაცია სობოროსთან (სადაც დღეს პარლამენტის შენობაა) დასრულდა. აქ გადაწყვეტი-ლი იყო მიტინგის ჩატარება. სიტყვის წარმოთქმა მოასწრეს კონსტანტინე გამსახურდიამ, სეით დევდარიანმა და ევგენ ღვალაძემ. ავადსახსენებელი ჩეკას (საგანგებო კომისიის) ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით მიტინგი ალყაში მოაქციეს, ხოლო ორგანიზატორები, მათ შორის ევგენ ღვა-ლაძეც, დააპატიმრეს.

ისინი მოათავსეს მეტეხის ციხის ერთეულ საკნებში. ხსენებული მანიფესტაციის მონაწილეებმა გადაინაცვლეს ცაკ-ის (ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის) შენო-ბასთან და ათი დღის განმავლობაში დაპატიმრებულთა გათავისუფლებას მოითხოვდნენ. დაძაბულობის შემდ-გომი ესკალაციის თავიდან აცილების მიზნით, ცაკ-ის თავმჯდომარე ფილიპე მახარაძე იძულებული გახდა ამ-ნისტია გამოეცხადებინა და მანიფესტაციის ორგანიზა-ტორები თითქმის ორკვირიანი პატიმრობის შემდეგ გაა-თავისუფლეს.

ამის შემდეგ, წინააღმდეგობის მოძრაობის უფრო კოორდინირებულად წარმართვის მიზნით, იმავე, 1922 წლის შემოდგომაზე, ემიგრაციაში მოქმედ ეროვნულ ცენტრთან შეთანხმებით, შეიქმნა **„საქართველოს ანტისაბჭოთა**

პარტიების იატაკქვეშა ინტერპარტიული პარიტეტული კომიტეტი“ (იგივე, **„დამოუკიდებლობის კომიტეტი“**, ანუ **„დამკომი“**), რომელსაც დაეკისრა საქართველოს მთელს ტერიტორიაზე მოძრაობის კოორდინირება. დამკომის პირველი თავმჯდომარე იყო პირველი რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრი გოგიტა ფაღავა, რომლის დაპატიმრების შემდეგ – 1923 წელს მას სათავეში ჩაუდგა, ასევე დამფუძნებელი კრების ყოფილი წევრი კონსტანტინე ანდრონიკაშვილი. თავმჯდომარის მოადგილე, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ცნობილი მოღვაწე იასონ ჯავახიშვილი გახლდათ.

ევგენ ღვალაძე, როგორც იმხანად სოციალ-დემოკრატიული პარტიის ახალგაზრდული ფრთის ერთ-ერთი ლიდერი აქტიურად მონაწილეობდა დამკომის საქმიანობაში. 1922-1924 წლებში ასრულებდა კახეთში დამკომის რწმუნებულის მოვალეობას და მჭიდრო კავშირი ჰქონდა პოლკოვნიკ ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილთან და მის შეფიცულებთან. გარდა ამისა, ორთაჭალში ჰყავდა ჯგუფი, რომელსაც ყოველი კვირის დამლევს ევალებოდა სურსათ-სანოვაგის მომზადება შეფიცულთა რაზმისათვის.

კონსპირაციის მიზნით, დამკომის რწმუნებულები კომუნიკაციისათვის ფსევდონიმებს იყენებდნენ. ფსევდონიმი ჰქონდა ევგენ ღვალაძესაც – „ახალგაზრდა“, რაც დასტურდება როგორც მისი მეუღლის – თამარ კუცია-ღვალაძის მოგონებებში, ისე პარიტეტული კომიტეტის საგამოძიებო საქმეში, რომელიც სრული სახით 1994 წელს გამოსცა ო. კალანდარიშვილმა (გვ. 62-63).

ერთ-ერთ ჩვენებაში მითითებულია, რომ ჩეკისტების მიერ ხევსურეთის აჯანყების ჩახშობის შემდეგ, 1922 წლის ოქტომბრის დამლევს, თელავის მაზრის სოფელ

პანკისში ქაქუცას შეფიცულთა ნაწილს შეხვდა დამკომის საგანგებო დავალებით მისული „ახალგაზრდა“, რომელმაც პარიტეტული კომიტეტის სახელით გადასცა გადაწყვეტილება შეიარაღებული გამოსვლების დროებით შეჩერების შესახებ. სწორედ ამ დროს შეფიცულებმა მიიღეს ინფორმაცია, რომ ქაქუცას აშროშანის ტყისკენ ჰქონდა გეზი აღებული, მათთან შესახვედრად შეფიცულები და „ახალგაზრდა“ ერთად გაემართნენ აშროშანის ტყისაკენ. „ახალგაზრდამ“ ქაქუცას გადასცა პარიტეტული კომიტეტის დავალება, რაზეც ჩოლოყაშვილის დადებითი პასუხი მიიღო.

1923 წლის დამდეგს, გამცემლობის გზით ჩეკამ მოახერხა დამკომის სამხედრო ცენტრის ხელმძღვანელის, გენერალ კოტე აფხაზისა და 14 წევრის დაპატიმრება. დამკომისათვის ცნობილი გახდა გამცემლის ვინაობა: ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის არალეგალური მთავარი კომიტეტის ყოფილი წევრი კალე მისაბიშვილი (იხ. საქმე – საქართველოს ანტისაბჭოთა პარტიების პარიტეტული კომიტეტის შესახებ საბრალდებო დასკვნა, ო. კალანდარიშვილის გამოცემა, თბილისი, 1994, გვ. 74-75). ყოველივე ამან მთლიანად შეცვალა დამკომის გეგმები. როგორც ცნობილია, გენერალი კოტე აფხაზი და მისი 14 თანამებრძოლი 1923 წლის 20 მაისს დღევანდელი ვაკის პარკის ტერიტორიაზე დახვრიტეს.

1923 წლის შემოდგომაზე ევგენ ღვალაძემ სოციალ-დემოკრატიული პარტიის რიგები დატოვა.

1924 წლის 22 აგვისტოს დასკვნით სხდომაზე, რომელიც შიო-მღვიმის მონასტერში გაიმართა, დამკომმა გადაწყვეტილება მიიღო, რომ ანტიბოლშევიკური ეროვნული აჯანყება მთელი საქართველოს ტერიტორიაზე 29 აგვის-

ტოს დაწყებულიყო. სამწუხაროდ, მენშევიკების შეუთანხმებელმა და დესტრუქციულმა მოქმედებამ განაპირობა ის, რომ ჭიათურაში შეიარაღებული გამოსვლები 24 საათით ადრე დაიწყო. ამან ჩაშალა ერთდროული მოქმედების გეგმა (იხ. ე. ჩუბინიძე. მოგონება, წიგნი მეორე, პარიზი, 1953, გვ. 253-286; კომუნისტური გადატრიალება და საქართველოს ოკუპაცია, საგანგებო კომიტეტის სპეციალური ანგარიში №6 კომუნისტური აგრესიის შესახებ, აშშ-ის წარმომადგენელთა პალატის ოთხმოცდამესამე კონგრესი, მეორე სხდომა, HH, Res.346 და H.Res. 438. 1954 წ. დეკემბერი, აშშ, ვაშინგტონი, 1955, ქართული თარგმანი, თბილისი, 2007, გვ. 30-32).

მიუხედავად ამისა, ქაქუცას შეფიცულთა მოქმედებამ კახეთსა და დუშეთის მაზრაში, მიხეილ ლაშქარაშვილის რაზმის მოქმედებამ შიდა ქართლში, გურიის მხარეში სერგო მათითაიშვილისა და ავთანდილ ურუშაძის ხელმძღვანელობით განხორციელებულმა ოპერაციამ, ამბოხებულთა მოქმედებამ სენაკის მაზრაში და ჭიათურის შეიარაღებულმა გამოსვლებმა მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენა საბჭოთა საოკუპაციო რეჟიმს. აჯანყების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შედეგი ის იყო, რომ მან დიდად შეუწყო ხელი ქართულ საზოგადოებაში ეროვნული სულისკვეთების ამაღლებას.

1924 წლის 29 აგვისტოდან სექტემბრის შუა რიცხვებამდე ჩეკამ აჯანყების მონაწილეთა მასობრივი დაპატიმრებები განახორციელა. ბევრი დახვრიტეს ყოველგვარი გასამართლების გარეშე. ამის ნათელი მაგალითია, სისასტიკის თვალსაზრისით, უპრეცედენტო დახვრეტები შორაპნის მაზრაში.

1924 წლის 5 სექტემბერს ევგენ ღვალაძე დააპატიმრეს. იგი მეორედ აღმოჩნდა მეტეხის ციხეში. მოათავსეს სიკვდილმისჯილთა საკანში. ბებიკო ყოველ მეორე დღეს მიდიოდა ციხესთან ევგენ ღვალაძისათვის საჭმლის შესაგზავნად. 1925 წელს მარტის ერთ სუსხიან დილას, ბავშვთან ერთად მისულს, საკვების გადაცემაზე უარი უთხრეს. ბებიკომ მიზეზი იკითხა, ციხის რეგისტრატორმა ჩასჩურჩულა – მე გაგიგებთ რაშია საქმეო. ხუთი წუთის შემდეგ იგი დაბრუნდა და თამარს უთხრა – თქვენი მეუღლე სახადითაა ავად, ორი დღე უგონოდაა და ციხის მორგშია ჩაყვანილიო. სასოწარკვეთილი თამარი შალვა ნუცუბიძესთან მივიდა. საქმე ისაა, რომ შალვა ნუცუბიძე თამარის და გენოს მეჯვარე იყო. იმხანად სახელოვანი მეცნიერი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორი გახლდათ და საზოგადოებაში უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობდა. შალვამ სთხოვა ბებიკოს – სახლში წადი, ნუ იღელვებ, ბავშვს მიხედე, მე აუცილებლად მოვაგვარებ ამ საქმესო. შემდეგ შალვა ნუცუბიძე მივიდა ევგენის და თამარის მეორე მეჯვარესთან, იმხანად უკვე სახელოვან გრიგოლ რობაქიძესთან და ოჯახის ახლო მეგობართან, ცნობილ საზოგადო მოღვაწესთან სეით დევდარიანთან. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა რეჟიმი სამივეს **„საბჭოთა წყობილებისათვის უცხო, საეჭვო ელემენტებად“** თვლიდა, გადაწყვიტეს ცაკ-ის თავმჯდომარესთან ფილიპე მახარაძესთან მისვლა (ეს ის ფილიპე მახარაძეა, რომელიც ილია ჭავჭავაძეს და მის თანამოაზრეებს „აშმორებულ წუმპეს“ უწოდებდა და თვლიდა, რომ ქართველებიდან უნდა ამოიძირკვოს „ეროვნულობა“, რადგან იგი ეწინააღ-

მდეგება ბოლშევიკების ძირითად ლოზუნგს – **„პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“** მას სთხოვეს ევგენ ღვალაძის გათავისუფლება და საამისო მყარი არგუმენტებიც წარუდგინეს – პატიმარი აგონიაშია, მისი გადარჩენა ძალიან საეჭვოა, ამიტომ მიეცით ოჯახს უფლება, რომ მისი საფლავი მაინც ჰქონდესო. მოხდა სასწაული – გონდაკარგული გენო თამარს სახლში გამოატანეს. მას ცოლის დის, შემდგომში ცნობილი პედიატრის ანიკო კუცია-ჩოჩიას თხოვნით ერთი თვე თავზე ადგა პროფესორი ალექსანდრე ალადაშვილი (ანიკო კუცია-ჩოჩია იმხანად მუშაობდა „არამიანცის“ საავადმყოფოში ალექსანდრე ალადაშვილთან). სიკვდილთან ერთთვიანი ჭიდილის შემდეგ მდგომარეობა გაუმჯობესდა. მაგრამ ახლა ოჯახს მეორე უბედურება დაატყდა თავს. მთელი გულისყური ევგენის გადარჩენაზე იყო გადატანილი, ამიტომ სათანადო ყურადღება ვეღარ დაუთმეს პატარა ნოდარს, რომელიც ფილტვების ანთებამ იმსხვერპლა.

მე ბებიკოს მოგვიანებით ვკითხე – „პირველი ბიჭი ნოდარი დღემოკლე იყო, მეორე ბიჭსაც ნოდარი როგორ დაარქვით-მეთქი“. მან მიპასუხა: „გენოს ვერ ვუთხარი უარიო“. პირველი ნოდარი ჩემს გამო დაიღუპა, იქნებ ამ ნოდარმა ცოტა მომიშუშოს ჭრილობაო.

1926 წელს გენომ წარჩინებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ-ეკონომიკური ფაკულტეტის სოციალური (იურიდიული) განყოფილება. ეს იყო თბილისის უნივერსიტეტის იურისტთა პირველი გამოშვება. მისი მასწავლებლები იყვნენ სახელოვანი ქართველი მეცნიერები ივანე ჯავახიშვილი, რომელიც ქართული სამართლის ისტორიისა და საქართველოს ეკონომიური ისტორიის კურსებს კითხულობდა, ლუარსაბ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანდრონიკაშვილი, ფილიპე გოგიჩაიშვილი, გიორგი გეხტმანი, ალექსანდრე ვაჩეიშვილი და სხვანი.

ევგენის მეგობრები და კოლეგები ერთხმად მიუთითებდნენ, რომ იგი იყო ფართოდ ცნობილი იურისტის, პროფესორ ლუარსაბ ანდრონიკაშვილის ერთ-ერთი უახლოესი და უნიჭიერესი მოწაფე. უნივერსიტეტის დასრულებისთანავე მან ევგენ ღვალაძის იქვე საპროფესოროდ მოსამზადებლად დატოვება გადაწყვიტა, რაც, გვიანდელი ასპირანტურის ტოლფასი იყო, მაგრამ ევგენმა ამ შეთავაზებაზე უარი თქვა (იხ. ნატა ჩხეიძე „არ დავიწყება ღვაწლისა". ჟ. „მნათობი", №12, 1990, გვ. 165). 1923 წლის ნოემბერში ევგენ ღვალაძე საქართველოს დამცველთა (ადვოკატთა) კოლეგიის წევრად აირჩიეს, რასაც ადასტურებს მის არქივში დაცული მოწმობა. კოლეგიის წევრი 1931 წლის დამდეგამდე იყო და მნიშვნელოვან როლს ასრულებდა მის საქმიანობაში (იხ. საქართველოს დამცველთა კოლეგიის წევრთა საერთო კრების ოქმები, საქართველოს ეროვნული არქივის უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, აღწ. I, საქმე 7).

ევგენის უახლოესი მეგობარი, ცნობილი სამართლისმცოდნე ვლადიმერ (ვოლია) მაყაშვილი იგონებდა, რომ ევგენ ღვალაძის დაცვითი სიტყვები სასამართლო მეტყველების საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენდა (იხ. ნატო ჩხეიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 167).

ევგენ ღვალაძეს ჰქონდა მყარად ჩამოყალიბებული პრინციპები, რომელთა ერთგული იყო ტრაგიკულ აღსასრულამდე, იურისპრუდენციაში, კერძოდ კი ადვოკატურაში. უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა ეთიკის ნორმებს. ამის დასტურია მისი სტატია **„ადვოკატურა და ეთიკა"**, რომელიც გაზეთ „ტრიბუნის" 1922 წლის ნოემბრის ორ

ნომერში გამოქვეყნდა. მაშინ ავტორი სოციალ-ეკონომიური ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტი იყო.

1924 წლის ოქტომბერში, ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ახალგაზრდული ფრთის წარმომადგენელთა ინიციატივით, პარიზში შეიქმნა ეროვნული ერთობის დარაზმულობა „თეთრი გიორგი", რომლის ლიდერები და მთავარი იდეოლოგები 1925 წლიდან გახდნენ სახელოვანი მამულიშვილები: გენერალი ლეო კერესელიძე (1885-1944) და პროფესორი მიხაკო წერეთელი (1878-1965), რომელიც ევგენ ღვალაძეს ბიძად ეკუთვნოდა (მიხაკოს მამა და ევგენის ბებია ღვიძლი ბიძაშვილ-მამიდაშვილები იყვნენ). დარაზმულობის ლოზუნგი (ანუ „ყიჟინა", როგორც მას უწოდებდნენ თეთრგვარდიელები) გახლდათ: „საქართველო უპირველეს ყოვლისა!" მის ერთადერთ სანუკვარ მიზანს წარმოადგენდა საქართველოს გამოხსნა საბჭოთა იმპერიის მარწუხებიდან.

1926 წლის შემოდგომაზე თბილისში შეიქმნა ეროვნული ერთობის დარაზმულობა „თეთრი გიორგის" პირველი კონსპირაციული ჯგუფი და ხელმძღვანელად ევგენ ღვალაძე დანიშნა. ჯგუფს იგი ავადსახსენებელი 1937 წლის 9 აგვისტომდე, დაპატიმრებამდე ხელმძღვანელობდა.

ჯგუფის მოვალეობას შეადგენდა „თეთრი გიორგის" საპროგრამო მასალებისა და პერიოდული გამოცემების საქართველოში გავრცელება, ეროვნულ-პოლიტიკური ხასიათის პროკლამაციების მომზადება და გავრცელება და ა. შ. დარაზმულობის სპეციალურ, კუმშვად ქაღალდზე ნაბეჭდი პერიოდული გამოცემები ფარულად, დიდი რისკის ფასად შემოჰქონდათ თურქეთიდან, იქაური ქართული სათვისტომოს დახმარებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

F117.666
3

აღსანიშნავია, რომ ჯგუფის წევრებს შორის იყვნენ ევგენ ღვალაძის უახლოესი მეგობრები: გამოჩენილი პოეტი და მამულიშვილი ტერენტი გრანელი (რომლის სიცოცხლე ტრაგიკულად დასრულდა 1934 წელს), გამოჩენილი ეროვნული მოღვაწეები, პროფესორები – ალექსანდრე (ალიოშა) წერეთელი (გადასახლებული იყო შუა აზიაში 1935-1956 წლები) და ვახტანგ კოტეტიშვილი (დახვრიტეს 1937 წელს).

ჯერ კიდევ 1916 წლიდან, ქართულ პერიოდიკაში ქვეყნდებოდა ევგენ ღვალაძის ჯერ ნაკვესები, შემდეგ კი ეროვნული ხასიათის პუბლიცისტური წერილები, უფრო იშვიათად, ლექსებიც, მისი წერილები იბეჭდებოდა ჟურნალ-გაზეთებში: **„სამშობლო“, „ჩვენი მეგობარი“, „საქართველო“, „ახალი კვალი“, „ახალი სხივი“, „ლომისი“, „ტრიბუნა“** და სხვა. ფსევდონიმები იყო: „გ“, „გენო“, „ახალგაზრდა“, „გ.-ელი“, „ვინმე“. მისი რამდენიმე წერილი ფსევდონიმებითაა გამოქვეყნებული ქართულ ემიგრანტულ გამოცემებშიც – **„თეთრი გიორგი“, „თავისუფალი საქართველო“, „დამოუკიდებელი საქართველო“.**

მაგალითად, გაზეთ „დამოუკიდებელი საქართველოს“ (პარიზი) 1933 წლის 86-92 ნომრებში, „გენოს“ ფსევდონიმით დაბეჭდილია ევგენ ღვალაძის საყურადღებო ნაშრომი **„აფხაზეთი უახლოეს წარსულში და დღეს“.** მასში წამოჭრილია ბევრი ისეთი საკითხი, რომლებიც განსაკუთრებით აქტუალურია დღესაც.

სიცოცხლის ბოლო წლებში შექმნა რომანი **„დიმიტრია ბლაჟა (რომანი ნაგლეჯებში)“.** სამწუხაროდ, ხელნაწერი კონფისკებულ იქნა 1937 წელს და დღეს დაკარგულად ითვლება.

საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საინტერესოა წერილები მეუღლისადმი, რომელიც ზედმიწევნით ახასიათებს ავტორს, როგორც უაღრესად მაღალზნეობრივ, სამშობლოსა და ოჯახისათვის თავდადებულ პიროვნებას.

გთავაზობთ ამონარიდს ევგენ ღვალაძის ნაწერიდან:

„მონობის და ნაციონალური ჩაგვრის ატმოსფეროში მყოფი ერისათვის ნორმალური განვითარების პირობები დახშულია – რუსეთის ცარიზმის დროს საქართველო სწორედ ამნაირ პირობებში იმყოფება, მძაფრი გამარუსებელი პოლიტიკა, უკონტროლო თარეში ქართული ნაციონალური იდეალებისადმი მძულვარებით გაჟღენთილი რუსის ბიუროკრატიისა, უხეშად არღვევდა ქართველი ერის ნაციონალურ მთლიანობას და შეუძლებლად ხდიდა ქართველი კულტურული ძალების თავისუფალ განვითარებას. ნაციონალური სხეულის საშინელი რღვევისა და სრული განადგურების საბედისწერო პერსპექტივის წინაშე ქართველ მოღვაწეთა ენერგია იჭიმებოდა და საშინელ წინააღმდეგობას უწევდა ცარიზმის უხეშ პოლიტიკას. მდგომარეობა აიძულებდა ქართველ მოღვაწეებს ცხოვრების ყოველნაირ სფეროში შეჭრილიყვნენ, რადგანაც არც ერთი დარგი ჩვენი ცხოვრებისა რუსეთის იერიშებისაგან დაზღვეული არ იყო. ერთი და იგივე ადამიანი პოლიტიკოსიც იყო, ეკონომისტიც და მწერალიც, პოეტიც, მდგომარეობა საშუალებას არ აძლევდა ჩვენს მოღვაწეს დამშვიდებულის გულით მთელი თავისი ძალ-ღონე შეელია იმ საქმისათვის, რომლისთვისაც ნიჭი მოსდევდა“ – აღნიშნულია წერილში „აცდენილი გზით“, რომელიც გაზეთ „ლომისის“ 1922 წლის მე-13 ნომერში გამოქვეყნდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1935 წელს დააპატიმრეს პროფესორი ალექსანდრე წერეთელი და ჯგუფთან დაახლოებული რამდენიმე პიროვნება. მართალია, ისინი დააპატიმრეს ბრალდებით, რომელსაც შეხება არ ჰქონდა „თეთრი გიორგის“ კონსპირაციული ჯგუფის საქმიანობასთან, მაგრამ ჯგუფმა მიიღო გადაწყვეტილება, დროებით თბილისს გასცლოდა.

მეორე მსოფლიო ომის დასრულებისთანავე საბჭოთა რეჟიმმა ხელი მიჰყო საქართველოში სხვადასხვა მაქინაციებით გავლენიან და ავტორიტეტულ პოლიტიკურ ემიგრანტთა შემოტყუებას. არც მოტაცებას თაკილობდნენ. ასე აღმოჩნდნენ საქართველოში სამსონ ფირცხალავა, ტიტე მარგველაშვილი, სიმონ ციციშვილი, სპირიდონ ჭავჭავაძე და არა ერთი სხვა ცნობილი მოღვაწე, რომლებიც დახვრიტეს 1947-1951 წლებში. რაც შეეხება ექვთიმე თაყაიშვილს, სამშობლოში დაბრუნების შემდეგ იგი სიცოცხლის ბოლომდე ჰყავდათ უმკაცრეს იზოლაციაში, შინა პატიმრობაში.

ევგენ ღვალაძე 1937 წლის 9 აგვისტოს დააკავეს. მას დარჩა ოთხი შვილი – სამი ქალიშვილი (ლონდა – გრიგოლ რობაქიძის ნათლული, ლატავრა და გურანდა – დედაჩემი და ერთი ბიჭი – ნანატრი ნოდარი, რომელიც, სამ თვენახევრისა იყო). ბებიკოს უთხრეს, რომ ბაბუა 10 წლით გადაასახლეს მიმოწერის აკრძალვით. კგბ-ს არქივის დოკუმენტებში აღმოჩნდა, რომ გენო არსად არ გადაუსახლებიათ. 1937 წლის 5 ოქტომბერს იგი გაასამართლეს, დახვრეტა მიუსაჯეს და 15 ოქტომბერს განაჩენი სისრულეში მოიყვანეს. გასამართლებულ ადამიანებს ვაკის პარკში ორმო გაათხრევინეს, ორმოსთან ჩაამწკრივეს და დახვრიტეს, დახვრიტეს ადამიანები, რომელთაც „ერთადერთი დანა-

შაული მიუძღოდათ“ – თავგანწირვამდე უყვარდათ თავიანთი გაუბედურებული ქვეყანა. შემდეგ ამ ადგილას საზოგადოებრივი საპირფარეშო ააშენეს. მე ეს ამბავი ბებიკოსთვის არ მითქვამს.

პატარა ნოდარი დებმა გაზარდეს. ლონდა სკოლაში პირველ წყებაში დადიოდა, ლატავრა – მეორე წყებაში. სკოლიდან ლონდა სახლში მორბოდა, ლატავრა რომ სკოლაში გაეშვა, თვითონ კი ნოდართან დარჩენილიყო.

ნოდარი ორი წლის იყო, როცა ლონდა და ლატავრა სკოლაში პირველ წყებაში დადიოდნენ. ამიტომ ბებიკო იძულებული იყო მესამე ქალიშვილი გურანდა სკოლაში, პირველ კლასში არ მიეყვანა და ნოდართან დაეტოვებინა. მომავალ წელს ნოდარი უკვე სამი წლის ხდებოდა და შეიძლებოდა მისი ბაღში ტარება.

ამით როდი დასრულდა რეპრესიები. სტალინის მითითებით და იმპერიული მთავრობის 1951 წლის 29 ნოემბრის №48893-2113 დადგენილებით „არაკეთილსაიმედოობის“ მოტივით დაიგეგმა საქართველოდან შუა აზიაში რამდენიმე ათასი ადამიანის გადასახლება. ამ მიზნით რუსეთიდან იქნა მოწვეული შინაგანი ჯარის საგანგებოდ მომზადებული ქვედანაყოფი. „სპეცგადასახლებას“ დაექვემდებარნენ 1941-1945 წლებში ტყვედ ნამყოფთა ოჯახები, პოლიტიკურ ემიგრანტთა ოჯახები და ნათესავები, ყველა დროის „ხალხთა მტრებად შერაცხულთა“ ოჯახები. ამ ამოცანის ხორცშესხმის მიზნით თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, სოხუმში და სხვა ქალაქებში ჩააყენეს სატვირთო(!) ეშელონები. 1951 წლის 25 დეკემბერს, კათოლიკური შობის დღეს, 11 ათასზე მეტი ადამიანი ჩაყარეს ამ ვაგონებში და შუა აზიისაკენ მიმავალ გზას გაუყენეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადასახლებულთა შორის იყო, აგრეთვე, ემიგრაციიდან მოტყუებით ჩამოყვანილი გამოჩენილი პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე სამსონ ფირცხალავა, რომლის ხელმოწერაც ამშვენებს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის 1918 წლის 26 მაისის აქტს. იგი გზაში გარდაიცვალა 1952 წელს. გადასახლებულთა შორის იყვნენ, აგრეთვე, ქართული პოლიტიკური ემიგრაციის გამოჩენილი მოღვაწის რევაზ გაბაშვილის ვაჟი – არქიტექტორი გურამ გაბაშვილი, ასევე, ცნობილი პოლიტემიგრანტის ზურაბ ციციშვილის ვაჟი – თეიმურაზ ციციშვილი, ბაბო დადიანი და მისი ოჯახის წევრები, ცნობილი ფეხბურთელი ზ. ქვარიანი და სხვანი და სხვანი. (იხ. ვებგვერდი: http://archive.security.gov.ge/1952.html).

ევგენ ღვალაძე დაპატიმრებული და დასახვრეტთა სიაშიც იყო 1922-1924 წლებში, 1937 წელს კი დახვრიტეს. სულ მიკვირდა – მისი ოჯახი როგორ გადაურჩა 1951 წელს. ამის პასუხი კგბ-ს არქივის დოკუმენტებში ვიპოვე: ბაბუა ალბათ გრძნობდა, რომ ბოლშევიკები მის საქმიანობას უყურადღებოდ არ დატოვებდნენ, ამიტომ იგი სამუშაოდ გორში გადავიდა (გორის საკონსერვო ქარხანაში), ხოლო დაკითხვისას მან განაცხადა, რომ ცოლთან გაყრილია – დოკუმენტებში ქართულ ენაზე გენოს მოიხსენიებენ, როგორც ყ/ქმარი (ყოფილი ქმარი), ხოლო რუსულ ენაზე – б/муж.



მე გარკვეული დროის მანძილზე დუსიასთან მტოვებდნენ. დუსიას მოვყავდი ტანტე ნინას გერმანული საბავშვო ბაღიდან და მერე ოჯახის წევრების სამსახურიდან მოსვლამდე მასთან ვიყავი. ერთხელ დუსიამ დარეკა, რომ შეუძლოდ არის და ვერ მოვა. ბებიკო იძულებული იყო ბოტანიკის ინსტიტუტში წავეყვანე (ის მუშაობდა ამ ინსტიტუტში ბიბლიოთეკის გამგედ). ინსტიტუტის დირექტორმა ნიკო კეცხოველმა თავისი კაბინეტის ფანჯრიდან დაგვინახა, როგორ შევედით მე და ბებიკო ინსტიტუტის ეზოში. სულ მალე იგი ჩვენთან გაჩნდა, გამეცნო, გაიგო, რომ ბებიკოს შვილიშვილი ლევანი ვარ, ხელი გამომიწოდეო მითხრა და ხელში კონახურის საწუწნი კანფეტები ჩამიყარა. მერე ხელი მომკიდა და ინსტიტუტის ეზოში წამიყვანა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

– რამდენი წლის ხარ – მკითხა ნიკო კეცხოველმა.

– ხუთის – ვუპასუხე მე.

– წერა-კითხვა იცი?

– ჯერ არა.

– რა უნდა გამოხვიდე.

– საქართველოს ისტორიკოსი.

– საქართველოს ისტორიაზე თუ იცი რამე, შენ ხომ წერა-კითხვა არ იცი.

– ვიცი ვახტანგ ჭელიძის „ქართლის ცხოვრების ქრონიკები", – ბებიკო მიკითხავს ხოლმე.

– ის თუ იცი, საქართველოს ყველაზე დიდი მეფე ვინ იყო?

– დავით აღმაშენებელი.

– აბა, რა იცი, დავით აღმაშენებელზე?

– დავითის მამა ცუდი მეფე იყო. მისი მეფობის დროს თბილისიც კი მტრის ხელში იყო. დავითი თექვსმეტი წლის ავიდა ტახტზე. დავითმა ცოლად მოიყვანა ყივჩაღთა მთავრის ასული. ყივჩაღთა მთავარმა თავის ქალიშვილს მზითვად 40 ათასი ყივჩაღური ოჯახი გამოატანა. ამ 40 ათასი ოჯახის მამაკაცებისგან დავითმა შექმნა პირველი რეგულარული ქართული არმია და გაანადგურა საქართველოს მტრები – შინაური და გარეშე.

– თუ იცი დავითის ყველაზე დიდი ბრძოლა რომელია?

– დიდგორის ბრძოლა, რომელსაც ქართველები და უცხოელები უწოდებენ **„ბრძოლაი საკვირველს"**.

ნიკო კეცხოველს დავასწარი და ვუთხარი, რომ დავითს ვაჟიშვილი კარგი ჰყავდა – დემეტრე უფლისწული.

– რა გააკეთა დემეტრე უფლისწულმა?

– იგი იყო ძალიან კარგი საგალობელის – „შენ ხარ ვენახის" ავტორი.

– ისიც გეცოდინება ვისადმია ეს საგალობელი მიძღვნილი.

– ვიცი, მარიამ ღვთისმშობლისადმი.

ნიკო კეცხოველი ჩემს წინ ჩაცუცქდა, გულზე მიმიხუტა და თავზე მაკოცა. მერე ბატონმა ნიკომ წამიყვანა ჰერბარიუმის კოლექციის შენობაში. ეს სამსართულიანი მრგვალი შენობა გარს ერტყა ცარიელ სივრცეს. პირველ სართულზე სინათლე ჩამოდიოდა მომინული სახურავიდან.

მკითხა: – ჰერბარიუმი თუ იცი რა არის?

ვუპასუხე: – არ ვიცი-მეთქი.

ამიხსნა: – ჰერბარიუმი ქაღალდით გამომშრალი მცენარეების კოლექციაა.

იყო ძალიან ლამაზი რკინის აივნები ძალიან ლამაზი რკინის მოაჯირით. მან ამიხსნა, რომ ჰერბარიუმის ასეთი ლამაზი სპეციალური შენობა მარტო საქართველოშია. ბატონი ნიკო ამ შენობით ძალიან იწონებდა თავს – შეკრებებს აქ ატარებდა, სტუმრებიც აქ მოყავდა – ხოლმე, ისიც თქვა – ეს შენობა არქიტექტურული ძეგლიაო.

დედას მთელი ოჯახი სოლოლაკში ცხოვრობდა, ამიტომ დედაჩემი სოლოლაკში იყო დაბადებული და გაზრდილი. ქალთა მეორე საშუალო სკოლაშიც სოლოლაკში დადიოდა. სკოლის ამხანაგები თითქმის ყველანი სოლოლაკში ცხოვრობდნენ. ბოტანიკის ინსტიტუტიც სოლოლაკში იყო. ერთი სიტყვით, სოლოლაკი დედას ძალიან უყვარდა.

ნიკო კეცხოველმა ბებიკოსთან დამაბრუნა სიტყვებით – ძალიან, ძალიან კარგი ლევანი გყავსო...

მერე, დიდი ხნის მერე, საფრანგეთში – ლევილში ჩემი ყოფნისას, აღტაცებით ყვებოდნენ ნიკო კეცხოველზე. ბატონ ნიკოს უთქვამს – კომუნისტური პარტიის წევრი ვარ, იძულებული ვიყავი, ასე მოვქცეულიყავი, სხვანაირად

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა ხელისუფლება საშუალებას არ მომცემდა ქართული საქმე მეკეთებინაო. მაშინ ბატონი ნიკო კეცხოველი თბილისის უნივერსიტეტის რექტორი იყო...

გვიან მე ისიც გავიგე, რომ საშინელებაა, როცა სახელმწიფოს მართავს ბრიყვი და უვიცი ადამიანი. ვგულისხმობ ედუარდ შევარდნაძეს, რომლის 12-წლიანმა სისხლიანმა დიქტატურამ სრულ კატასტროფამდე მიიყვანა საქართველო. შემოდგომისას, როცა საქართველოში რთველი იყო გაჩაღებული, შევარდნაძემ ბრძანა:

– საქართველოში ყოველთვის უყვარდათ ყურძენი – **„შენ ხარ ვენახიო“**.

ამ კაცმა არ იცოდა, ვინაა ამ საგალობლის ავტორი, არც ის იცოდა, ვისადმია საგალობელი მიძღვნილი...

აქვე შევარდნაძის რეჟიმის რამდენიმე მძიმე დანაშაულს ჩამოვთვლი:

1. დანაშაულებრივი ომის ინსპირირება აფხაზეთში, რაც 1993 წლის 26 სექტემბერს დასრულდა აფხაზეთის დაკარგვით. დღეს ყველასთვის დღესავით ნათელია, რომ ყოველივე ეს განხორციელდა მოსკოვის და მისი სამხედრო მანქანის აქტიური მონაწილეობით;

2. დანაშაულებრივი პოლიტიკა, რომელმაც საშუალება მისცა ოს სეპარატისტებს და მათ მოსკოველ ბოსებს, რომ საქართველოს იურისდიქციისთვის მოეგლიჯათ ე. წ. „სამხრეთ ოსეთი“ (სამაჩაბლო);

3. პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიასთან და მის ერთგულ შენაერთებთან დასავლეთ საქართველოში წარმოებულ ბრძოლაში ქმედითი დახმარებისათვის მადლობის ნიშნად, რუსეთის საოკუპაციო ჯარებისთვის საქართველოს ტერიტორიაზე სამხედრო ბაზების 25 წლით დაკანონება და ქვეყნის შეთრევა ე. წ. „დსთ“-ში, რამაც ხელ-ფეხი გაუხსნა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსეთს ამ ოდიოზური წარმონაქმნის („დსთ“-ს) „სამშვიდობო ძალების“ სტატუსით აფხაზეთსა და ცხინვალის (სამაჩაბლოს) რეგიონში საკუთარი საჯარისო შენაერთების შესაყვანად;

4. 1992-2003 წლებში სხვადასხვა დონის (საპრეზიდენტო, საპარლამენტო და ადგილობრივი) არჩევნების შედეგების მასობრივად გაყალბება, რისი დამადასტურებელი მრავალი დოკუმენტია დაცული ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ორგანიზაციებში (ადამიანის უფლებათა საერთაშორისო საზოგადოება, ჰელსინკის საერთაშორისო ფედერაცია, ჰიუმან რაითს ვოჩი, ბრიტანეთის და ფინეთის ჰელსინკის ჯგუფები და ა. შ.);

5. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა უხეში და მასობრივი დარღვევები (ამის დასტურია ზემოთ მითითებული საერთაშორისო ორგანიზაციები და აშშ-ის კონგრესის ჰელსინკის კომისიის 1992-2003 წლების ოფიციალური მოხსენებები, ოტო ფონ ჰაბსბურგის ინიციატივით ევროპარლამენტის მიერ მიღებული რამდენიმე რეზოლუცია და ა. შ.);

6. აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის 300 ათასამდე მკვიდრის ლტოლვილად ქცევა საკუთარ სამშობლოში და მათი უფლებებითა და მდგომარეობით მრავალწლიანი მანიპულირება.

ვფიქრობთ, შთამბეჭდავი ჩამონათვალია. სწორედ ამ დრაკონული პოლიტიკის მეოხებით საქართველო კვლავ რუსული ჩექმის ქვეშ მოექცა.

ბაბუაჩემზე მონათხრობი მინდა დავამთავრო სასიამოვნო ინფორმაციით, კერძოდ, ჭიათურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №39 განკარგულებით 2009 წლის

4 ნოემბერს „ჭიათურის ქუჩის შესახვევისათვის ევგენ ღვალაძის სახელის მინიჭების შესახებ“:

ჭიათურის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ბესარიონ ჯუბუტარიძე

ჭიათურის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ჭიათურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გადაწყვეტილება №28

2009 წლის 04 ნოემბერი

ქ. ჭიათურაში სამჭოს ქუჩის IV შესახვევისათვის ევგენი (გენო) ღვალაძის სახელის მინიჭების შესახებ

ჭიათურის მუნიციპალიტეტის საკრებულო აღნიშნავს, რომ მუნიციპალიტეტის გამგეობამ საკრებულოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა ქ. ჭიათურაში სამჭოს ქუჩის IV შესახვევისათვის ხოფუელ სვერის მკვიდრის, ცნობილი ადვოკატისა და პუბლიცისტის, 1921-1937 წლების ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწის, 1924 წლის აგვისტოს ეროვნული აბმოხსენის აქტიური მონაწილის, 1926-1937 წლებში ეროვნულ-პატრიოტული პოლიტიკური ორგანიზაციის „თეთრი გეორგის“ კონსპირაციული ჯგუფის ხელმძღვანელის, 1937 წელს ბოლშევიკების მიერ დახვრეტილი ევგენი (გენო) ღვალაძის სახელის მინიჭების თაობაზე. ევგენი (გენო) ღვალაძის სახელის უკვდავსაყოფად საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია ჭიათურაში მისი სახელობის ქუჩის არსებობა.

ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტისა და 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

ჭიათურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. ქ. ჭიათურაში სამჭოს ქუჩის IV შესახვევს ეწოდოს ევგენი (გენო) ღვალაძის სახელი.
2. განკარგულება გადაეგზავნოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ჭიათურის სარეგისტრაციო სამსახურს და გამოქვეყნდეს საინფორმაციო საშუალებებში.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელის მოწერისთანავე.

ჭიათურის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ბესარიონ ჯუბუტარიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემი ბებიკო
თამარ კუცია-ღვალაძე

უდიდესი ბედნიერება იყო, რომ ბავშვობის წლები და მერეც, ახალგაზრდობა თამარ ბებიკოს გვერდით გავატარე.

ბებიკოს წინაპრები (მამის მხრიდან) სასულიერო წოდებას ეკუთვნოდნენ. სუჯუნის წმინდა გიორგის ეკლესიის, შემდეგ კი მარტვილის მონასტრის წინამძღვარი იყო მისი ბაბუა – არქიმანდრიტი მეთოდე კუცია.

აღსანიშნავია, რომ გენერალი ალიხანოვ-ავარსკის დამსჯელი ექსპედიციის წინააღმდეგ სამეგრელოს ამბოხების (1905) ერთ-ერთი სულისჩამდგმელი იყო ბებიკოს ბიძა – ნიკოლოზ კუცია. იგი დაიღუპა რუს ოკუპანტთა შენაერთებთან ერთ-ერთი შეტაკების დროს. თამარის ბებია – სალომე მიქაძე გახლდათ სამეგრელოს სამთავროს უკანასკნელი მსახურთუხუცესის თავად ნიკოლოზ მიქაძის ასული, ხოლო მამა – ნესტორ კუცია იყო ხე-ტყის ცნობილი მრეწველი და კომერსანტი, დაუღალავი და უანგარო ქველმოქმედი, აბაშის ნორმალური სასწავლებლის მზრუნველთა საბჭოს თავმჯდომარე, სენაკის მაზრის თვითმმართველობის ხმოსანი.

ასევე წარჩინებული ოჯახიდან იყო ბებიკოს დედა – ელისაბედ გაბელაია, რომელსაც კეთილშობილ ქალთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

წმინდა ნინოს სასწავლებელი ჰქონდა დამთავრებული. მეუღლის გარდაცვალების შემდეგ, 1912 წლიდან გარდაცვალებამდე, მან ქართული მართლმადიდებლური ეკლესიისათვის სამსახურსა და ქველმოქმედებას მიუძღვნა თავისი ცხოვრება. იგი დაკრძალულია, თბილისში, დიდუბის ეკლესიის კედელთან (1925 წელს, 1921 და 1924 წლების ცნობილი მოვლენების მონაწილე პატრიოტთა საფლავებთან ერთად, განადგურებული იქნა მისი საფლავიც). ბებიკოს ბაბუა – სოფრომ გაბელაია იყო საეკლესიო აზნაურის ოჯახიდან, დეკანოზის ხარისხით იგი ძველი სენაკის ეკლესიის წინამძღვრად მსახურობდა.

ბებიკოს უფროს დას, ცნობილ ექიმ-პედიატრსა და საზოგადო მოღვაწეს ანა კუცია-ჩოჩიას, ერთ-ერთ პირველს მიენიჭა საქართველოს დამსახურებული ექიმის წოდება.

1917 წელს ბებიკომ დაასრულა აბაშის ხუთკლასიანი ნორმალური სასწავლებელი. იმავე წელს იგი ჩაირიცხა თბილისის „შალვა ნუცუბიძის კურსებად“ წოდებულ გიმნაზიაში, რომელსაც სათავეში ედგა გამოჩენილი მეცნიერი და მამულიშვილი შალვა ნუცუბიძე. მასთან ერთად ამ სასწავლებელში ასწავლიდნენ ქართული მეცნიერებისა და კულტურის გამოჩენილი მოღვაწეები ვასილ ბარნოვი (ბარნაველი), გიორგი გეხტმანი, გიორგი ახვლედიანი, დიმიტრი უზნაძე, თედო ბეგიაშვილი, ერასტი ფაღავა, ელისაბედ ჯამბაკურ-ორბელიანი, ალექსანდრე მდივანი, ალექსანდრე ნეიმანი, ტროფიმე ხუნდაძე და სხვანი.

როგორც უკვე ითქვა, სწორედ გიმნაზიაში გაიცნო ბებიკომ თავისი მომავალი მეუღლე, 1920-1937-იანი წლების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწე, იურისტი (ადვოკატი) და პუბლიცისტი ევგენ ღვალაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბებიკოს სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მიუხედავად მრავალი დაბრკოლებისა და სიდუხჭირისა, მან სახელოვანი მამის ოთხი ღირსეული შვილი აღუზარდა სამშობლოს.

გიმნაზიის დასრულების შემდეგ, 1920 წელს ბებიკო ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიბრძისმეტყველების ფაკულტეტის სიტყვიერების განყოფილებაზე. აქ მისი მასწავლებლები იყვნენ ქართული მეცნიერების კორიფეები – ივანე ჯავახიშვილი, ალექსანდრე ცაგარელი, გრიგოლ წერეთელი, კორნელი კეკელიძე, შალვა ნუცუბიძე, იუსტინე აბულაძე, გიორგი ახვლედიანი, დიმიტრი უზნაძე, აკაკი შანიძე და სხვანი.

უნივერსიტეტში სწავლის წლებში ბებიკომ ზედმიწევნით შეისწავლა ძველი ბერძნული ენა – 1922-1925 წლებში მას ბერძნულს ასწავლიდნენ აკადემიკოსი გრიგოლ წერეთელი და დოცენტი ათანასე ჯვარშეიშვილი. გადაწყვეტილი იყო მისი ელინისტური ფილოლოგიის კათედრაზე საპროფესოროდ მოსამზადებლად დატოვება, რაზეც თამარმა, უკვე ოთხი შვილის დედამ უარი განაცხადა. მან ბიბლიოგრაფიისა და ბიბმცოდნეობის დარგში მუშაობა არჩია. იგი ქართული მეცნიერული ბიბლიოგრაფიისა და რესპუბლიკაში საბიბლიოთეკო საქმის ერთ-ერთი მესაძირკვლე გახდა. გარდა ბერძნულისა, იგი კარგად ფლობდა გერმანულ ენასაც – გერმანულს მას ცნობილი გერმანისტი ილ. ყიფშიძე ასწავლიდა.

1925 წელს ბებიკომ წარჩინებით დაამთავრა უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტი.

შრომითი საქმიანობა ბებიკომ, სრულიად ახალგაზრდამ – 18 წლისამ დაიწყო 1920 წელს, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის განათლების სამინისტროს საქმეთა მმართველად.

1923 წლის დამდეგს პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა თბილისის მე-3 საცდელ-საჩვენებელ სკოლაში, ასწავლიდა ქართულ ენასა და ლიტერატურას. ბებიკომ საბიბლიოთეკო დარგში მუშაობა დაიწყო 1922 წლის სექტემბრიდან. ამ დროიდან მოყოლებული მთელი მისი ხანგრძლივი ცხოვრება საქართველოში საბიბლიოთეკო საქმის წინსვლა-განვითარებას, დარგის კვალიფიციური კადრების მომზადებას შეალია, მხარში ედგა რა ვანო ციციშვილს, გიორგი ბაქრაძესა და ვიქტორ ბროსეს.

1922 წელს ყოფილი ა. პუშკინის სახელობის საქალაქო ბიბლიოთეკის ბაზაზე (ხსენებული ბიბლიოთეკა არსებობდა 1910 წლიდან) დაარსდა საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატის სკოლისგარეშე განათლების რეს-პუბლიკური სახლის ბიბლიოთეკა, რომელსაც ცალკე შენობა ჰქონდა დათმობილი. მისმა დირექტორმა ვანო ციციშვილმა (1880-1942) ბიბლიოთეკის დაარსებისთანავე სამუშაოდ მიიწვია ბებიკოც. უნდა ითქვას, რომ ეს წიგნთსაცავი ქართული კულტურის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კერას წარმოადგენდა. ხსენებული წლის ოქტომბერში თამარი ჩარიცხულ იქნა ბიბლიოთეკის მუდმივ შტატში უფროსი ბიბლიოთეკარის თანამდებობაზე. ივანე ციციშვილმა უმალ შენიშნა ახალგაზრდა მუშაკის მონდომება და მისი ნათელი ნიჭი.

1926 წელს თამარი დაინიშნა ბიბლიოთეკის სამკითხველოს გამგედ, 1926-1930 წლებში კი, ბიბლიოთეკის გაუქმებამდე, იგი იყო დირექტორის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი. ასე, დროის მცირე მონაკვეთში თამარი იქცა ბიბლიოთეკის ხელმძღვანელ მუშაკად, ვანო ციციშვილის მარჯვენა ხელად. თამარი კურირებდა გამოფენების მოწყობის საქმეს და ბიბლიოგრაფიული განყოფილების მუშაობას.

1924 წლიდან თამარი ჩაება კვლევით-ბიბლიოგრაფიულ საქმიანობაში. აღნიშნულ წელს იგი არჩეულ იქნა **„ტფილისის ბიბლიოთეკებში დაცული ქართული წიგნების შეერთებული კატალოგის შემდგენი კომისიის“** შემადგენლობაში. 1925 წელს, კომისიის მუშაობის წლისთავზე გამოსაცემად მომზადებული იქნა **„ტფილისის ბიბლიოთეკების ქართული წიგნების შეერთებული კატალოგი“**-ს პირველი ნაწილი (1921-1924 წლების აღწერილობანი). ამ კატალოგის შედგენას დაემთხვა ბებიკოს უშუალო მონაწილეობით პირველი ქართული საბიბლიოთეკო და ბიბლიოგრაფიული ჟურნალის „წიგნის მეგობრის“ დაარსება. 1925 წლის დამლევს გამოიცა ამ ჟურნალის პირველი და მეორე ნომრები, რომელსაც ვრცელი (5-ფორმიანი) დამატების სახით ცალკე აქვს დართული დასახელებული კატალოგი. ეს იყო ბებიკოს მონაწილეობით შედგენილი პირველი მნიშვნელოვანი ბიბლიოგრაფიული ნაშრომი. გათვალისწინებული იყო კატალოგის მეორე ნაკვეთის გამოცემა, მაგრამ ხელისუფლების ყოვლად უსაფუძვლო განკარგულებით შეწყდა ჟურნალ „წიგნის მეგობრის“ გამოცემა.

1925 წლიდან ბებიკო ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა საქართველოს განსახკომის, შემდეგ კი კულტურის სამინისტროს ერთწლიან მუდმივმოქმედ საბიბლიოთეკო კურსებზე. ამ კურსებზე იგი ასწავლიდა თითქმის ოთხი ათეული წლის მანძილზე.

გარდა ამისა, 1938-1942 წლებში თამარი ლექციებს კითხულობდა თბილისის საბიბლიოთეკო სასწავლებელში, რომელიც იმხანად პოლიტგანათლების სასწავლებლად იწოდებოდა. ნახევარსაუკუნოვანი ნაყოფიერი მოღვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წეობის მანძილზე თამარის ხელში აღიზარდა დღეს უკვე გამოცდილი და ცნობილი ათობით სპეციალისტი.

1930 წელს განსახკომის სკოლისგარეშე განათლების რესპუბლიკური ბიბლიოთეკა გაუქმებულ იქნა და მისი მთელი წიგნადი ფონდი გადაეცა საქართველოს სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკას, რომელიც დღეს სახელმწიფო ეროვნულ ბიბლიოთეკად იწოდება.

ამავე წელს თამარი დაინიშნა სახელმწიფო საჯარო საბიბლიოთეკო ცენტრალური წიგნთსაცავის გამგის მოადგილედ. გამგე იყო იაკინთე ლისაშვილი, რომელსაც საბიბლიოთეკო საქმისა არაფერი გაეგებოდა. ამიტომ, ფაქტიურად ბებიკო წარმართავდა ბიბლიოთეკის ამ უდიდესი და უმნიშვნელოვანესი ქვედანაყოფის მთელ მუშაობას.

1927 წელს თამარის უშუალო მონაწილეობით, საქართველოს ცენტრალური აპარატის ბიბლიოთეკის ბაზაზე დაარსდა სახალხო განათლების სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკა, რომელიც იაკობ გოგებაშვილის სახელს ატარებს.

1934 წლის სექტემბერში თამარი დაინიშნა საქართველოს საჯარო ბიბლიოთეკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ქვედანაყოფის – რარიტეტსაცავის – იშვიათი წიგნების განყოფილების გამგედ. ამ თანამდებობაზე მან ვიქტორ ბროსე შეცვალა.

იმავე წელს თამარმა აქტიური მონაწილეობა მიიღო **„საქართველოს სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკის შრომები“-ს** დაარსებაში. აღნიშნული გამოცემა გამოდიოდა მხოლოდ ექვსი წლის მანძილზე – სულ გამოიცა 6 ტომი.

„ლიტერატურული გაზეთი“-ს 1934 წლის 24-ე ნომერში გამოქვეყნდა თამარის მიერ შედგენილი ბიბლიოგრაფიული ნარკვევი: **„უცხოელი და რუსი ავტორები ტფილისზე“.**

მნიშვნელოვანია მისი დამსახურება ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნთსაცავისა და ილია ჭავჭავაძის პირადი ბიბლიოთეკის დამუშავებაში. ამ საქმეში იგი უანგაროდ ედგა მხარში ქართული წიგნის დიდ მოჭირნახულეს, რესპუბლიკის საპატიო და დამსახურებულ ბიბლიოთეკარს ქალბატონ თამარ მაჭავარიანს (1895-1979).

1938 წლის ოქტომბრამდე თამარი მოღვაწეობდა საქართველოს სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკაში.

ხსენებულ წელს „საჯარო ბიბლიოთეკის შრომები“-ს მე-4 ტომში გამოქვეყნდა მის მიერ თამარ მაჭავარიანთან ერთად შედგენილი ვრცელი ბიბლიოგრაფია **„შოთა რუსთაველი უცხოეთის ლიტერატურაში“.**

1931 წლის ოქტომბრის დამლევს თამარი სამუშაოდ რესპუბლიკის სახელმწიფო წიგნის პალატაში მიიწვიეს. 1939 წლის სექტემბრამდე მუშაობდა უფროს ბიბლიოგრაფად და განყოფილების გამგის მოადგილედ, ხოლო 1939-1942 წლებში კი წიგნის პალატის მთავარ ბიბლიოგრაფად.

წიგნის პალატაში თამარის გადასვლის დროისათვის პალატამ დაიწყო მუშობა „ქართული წიგნი“-ს 1629-1920 წლების მასალების მომცველი კაპიტალური, მონუმენტური ბიბლიოგრაფიის შესადგენად, რაშიც იმთავითვე აქტიურად ჩაება თამარი.

გარდა ამისა, იგი აქტიურად მონაწილეობდა პალატის პერიოდული ბიბლიოგრაფიული გამოცემების შედგენა-რედაქტირებასა და რეცენზირებაში. მის მიერ იქნა შედგენილი **„გაზეთის სტატიების მატიანის“** 1939 წლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე-2, 1940 წლის მე-12 და 1941 წლის მე-7 ნომრები. მანვე მიიღო მონაწილეობა **„რეცენზიების ბიბლიოგრაფიის“** (1930-1938 წლების აღწერილობანი) შედგენაში.

1941 წელს გამოიცა წიგნის პალატის ოთხნაწილიანი დაუღალავი შრომის შესანიშნავი ნაყოფი: „ქართული წიგნი“-ს პირველი მონუმენტური ტომი (1629-1920 წლების მასალები), რომლის ერთ-ერთი შემდგენელი იყო თამარი, მას ეკუთვნის ამ გამოცემის 1893-1898 და 1905-1907 წლების მასალების აღწერილობა.

სწორედ ამ პერიოდში თამარს ქრისტინე შარაშიძესთან ერთად ახლო საქმიანი კონტაქტები ჰქონდა დიდ ივანე ჯავახიშვილთან, რომელიც ხსენებული ტომის მეცნიერ-კონსულტანტი გახლდათ. ქრისტინესა და თამარს ხშირად უხდებოდათ ივ. ჯავახიშვილთან სტუმრობა როგორც მუზეუმში, ისე შინ. სამწუხაროდ, დიდი მეცნიერი ვერ მოესწრო წიგნის გამოცემას.

1941 წელს თამარის მონაწილეობით დაარსდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკა.

1942 წლის ივლისში თამარი იძულებული გახდა თავი დაენებებინა წიგნის პალატაში მუშაობისათვის. ომის პირობებში დახმარების გარეშე რთული იყო ოთხი შვილის რჩენა. მან მიაშურა მეუღლის მშობლიურ სოფელ სვერს (სოფელი ჭიათურიდან თხუთმეტი კილომეტრითაა დაცილებული) და იმავე თვის დამლევს დაინიშნა სოფლის საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილედ – სასწავლო ნაწილის გამგედ და ისტორიის მასწავლებლად. მცირე ხანს დირექტორის მოვალეობასაც ასრულებდა. სამი წელი იმუშავა თამარმა სვერის საშუალო სკოლაში, მაგრამ მიუხედავად ამისა მან ღრმა კვალი დატოვა როგორც მრავალრიცხოვან

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოწაფეებში, ისე მთელი რაიონის მოსახლეობაში. ყოველივე ეს განაპირობა მისმა უზადო პედაგოგიურმა ნიჭმა და ალღომ, მისმა პრინციპულობამ და ამავე დროს საოცარმა გულისხმიერებამ. იგი ჭეშმარიტად ნოვატორი პედაგოგი გახლდათ – მის მიერ შემუშავებული მეთოდიკით რამდენიმე ათწლეულის მანძილზე ისწავლებოდა რაიონში ქართული ენა, ლიტერატურა და ისტორია.

მის ყოფილ მოწაფეთა შორის არაერთი თვალსაჩინო სპეციალისტი და მოღვაწეა. მათ შორის შეიძლება დავასახელოთ თოჯინების თეატრის დიდი მოჭირნახულე, ცნობილი თეატრმცოდნე, საქართველოს სახალხო არტისტი შოთა ცუცქირიძე, თვალსაჩინო პედაგოგი, დამსახურებული მასწავლებელი იოსებ ბიწაძე და სხვანი.

თამარის პედაგოგიური ნიჭის დასტურად მოვიყვან ერთ ადგილს მისი ყოფილი მოწაფის წერილიდან: **„მშობლიურო ადამიანო, პატივცემულო თამარ მასწავლებელო, მე თქვენი მოწაფე ვიყავი, თქვენს მშვენიერ სულში ჩემს პატარა აზრს თანაგრძნობა უპოვნია. ამიტომ გულწრფელობა იმორჩილებს ჩემს გონებას და იძულებული ვარ ვაღიარო მხოლოდ თქვენთან, ვაღიარო ის, რაც არ მინდა მოვიგონო, რაც ჩემთვის ძნელი იყო და სულისშემხუთავი...“** და ყოფილი მოწაფე თავის საწუხარს, დარდს უზიარებს, რჩევას სთხოვს ძვირფას მასწავლებელს. წერილი 1940 წლით არის დათარიღებული. იშვიათი შემთხვევაა, მით უმეტეს დღევანდელი დღისათვის!

1945 წელს თამარ ბებიკო მიწვეულ იქნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკის ინსტიტუტის სამეცნიერო ბიბლიოთეკის გამგედ. 1946-1951 წლებში პარალელურად განაგებდა საქართველოს მეცნიერებათა

ეროვნული ბიბლიოთეკა

აკადემიის თბილისის ცენტრალური ბოტანიკური ბაღის სამეცნიერო ბიბლიოთეკას.

ბოტანიკის ინსტიტუტის ბიბლიოთეკას თამარ ბებიკო სათავეში ედგა პენსიაზე გასვლამდე – 1970 წლის ივნისამდე.

სწორედ მისი ხელმძღვანელობით იქცა ეს ბიბლიოთეკა ბოტანიკური ლიტერატურის უმდიდრეს და უდიდეს წიგნთსაცავად მთელს ამიერკავკასიაში. მისი პენსიაზე გასვლის დროისათვის აქ დაცული იყო 200 000-ზე მეტი ნაბეჭდი ერთეული (1945 წელს კი აქ მხოლოდ 45000 ტომი ინახებოდა). თამარის დროს ბიბლიოთეკას გადაეცა გამოჩენილი ბოტანიკოსების, აკადემიკოსების: ნ. ბუშის, ა. გროსჰეიმისა და დ. სოსნოვსკის მდიდარი პირადი ბიბლიოთეკები. თამარ ბებიკოს ხელმძღვანელობითა და მონაწილეობით იქნა დამუშავებული თითოეული მათგანი.

1947 წელს საქართველოს წიგნის პალატის მიერ გამოიცა თამარის **„ქართულ მუსიკალურ ნაწარმოებთა ბიბლიოგრაფია 1872-1946“**, რომელზე მუშაობაც ავტორმა დაიწყო ჯერ კიდევ 1939 წელს გამოჩენილი ბიბლიოგრაფიის დოცენტ გიორგი ბაქრაძისა და სახელგანთქმული კომპოზიტორის პროფესორ დიმიტრი არაყიშვილის თხოვნით. ხსენებული ბიბლიოგრაფია წარმოადგენს პირველ მნიშვნელოვან, ცალკე წიგნად გამოცემულ ბიბლიოგრაფიულ ნაშრომს ქართული მუსიკალური კულტურის დარგში. ამდენად, თამარი სამართლიანად ითვლებოდა ქართული მუსიკალური ხელოვნების ბიბლიოგრაფიული კვლევის ფუძემდებლად.

აქვე უნდა ითქვას, რომ თამარ ბებიკოს ეს ნაშრომი მოხსენიებულია „დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის“ მეორე

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოცემაში, როგორც მუსიკათმცოდნეობის დარგში შესრულებული ერთ-ერთი საუკეთესო შრომა (იხ. სტატია „ნოტოგრაფია“). თამარ ბებიკო იყო პირველი ქართველი მკვლევარ-ბიბლიოგრაფი, ვის ნაშრომსაც წილად ხვდა პატივი ამ მეტად პრესტიჟულ გამოცემაში მოხსენიებისა.

ბებიკო თამარი მუდამ სიხარულით იგონებდა შეხვედრებს გამოჩენილ ქართველ კომპოზიტორებთან დიმიტრი არაყიშვილთან, ლევან ფალიაშვილთან, ანდრია ბალანჩივაძესთან.

ამის შემდეგ თამარ ბებიკოს თაოსნობით წიგნის პალატაში დაარსდა სპეციალური პერიოდული გამოცემა **„ნოტების მატიანე“.**

იმავე 1947 წელს ბებიკო თამარი აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის საბიბლიოთეკო სამეცნიერო საბჭოს წევრად და მის შემადგენლობაში ირიცხებოდა 1975 წლამდე. აქ იგი წლების მანძილზე კურირებდა აკადემიის ბიოლოგიისა და სოფლის მეურნეობის განყოფილებების სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციების (ბოტანიკის, ზოოლოგიის და პალეობიოლოგიის ინსტიტუტები, მცენარეთა ბიოქიმიის ლაბორატორია, თბილისის, სოხუმისა და ბათუმის ბოტანიკური ბაღები) სამეცნიერო ბიბლიოთეკების მუშაობას.

გარდა აკადემიის საბიბლიოთეკო საბჭოსი თამარ ბებიკო სხვადასხვა დროს არჩეული იყო საქართველოს სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკის, რესპუბლიკის სახელმწიფო წიგნის პალატის, მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკის, ბოტანიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოების წევრად. 1950-1960 წლებში თავმჯდომარეობდა ინსტიტუტის ადგილკომს. 1949-1960 წლებში ხელმძღვანელობდა აკადემიის

საბიბლიოთეკო საბჭოს ბიოლოგიისა და სოფლის მეურ-
ნეობის განყოფილებების ბიბლიოთეკების შემმოწმებელ
კომისიას.

1950-1951 წლებში გამომცემლობა „ტექნიკა და შრომამ“ თამარის თანაავტორობით გამოსცა წიგნის პალატის მიერ მომზადებული „ქართული წიგნის“ II ტომის პირველი და მეორე ნაკვეთები (1921-1945 წლების მასალები). მას ეკუთვნის ამ გამოცემის 1921-1933 წლების აღწერილობები.

დიდია თამარ ბებიკოს დამსახურება ქართული ბოტანიკური მეცნიერების ბიბლიოგრაფიული კვლევის საქმეში, როგორც ამ მიმართულების ფუძემდებლისა. ჯერ კიდევ 1941 წელს საქართველოს ბოტანიკური საზოგადოების პერიოდული ჟურნალის **„მცენარეთა გეოგრაფიისა და სისტემატიკის ნარკვევების მე-10 გამოშვებაში დაიბეჭდა ბიბლიოგრაფიული საძიებელი:** „მცენარეთა გეოგრაფიისა და სისტემატიკის ნარკვევების 1-10 გამოშვებების შინაარსი, მცენარეთა (ლათინური) სახელწოდებებისა და სტატიების მაჩვენებელი“. 1958 წელს ნარკვევების მე-20 გამოშვებაში დაიბეჭდა ანალოგიური ბიბლიოგრაფია (მე-2 მე-20 გამოშვებების მასალებისა).

1956 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობამ გამოსცა **„თბილისის ბოტანიკის ინსტიტუტის** პერიოდული გამოცემების სტატიების მაჩვენებელი. 1895-1955“, ხოლო 1960 წელს იგივე გამომცემლობამ გამოსცა **„თბილისის ბოტანიკის ინსტიტუტის შრომების ბიბლიოგრაფია. 1933-1953“.**

1961 წელს ბებიკო თამარმა მიიღო სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ლენინგრადის ბოტანიკის ინსტიტუტის სამეცნიერო ბიბლიოთეკის გამგის, საბიბლიოთეკო დარგის ცნობილი და აღიარებული სპეციალისტის დ. ლე-

ბედევის წერილი: „Искренне благодарю Вас за присланый мне „Библиографию работ Тбилисского ботанического института“, **составленный Вами.** Книга эта является ценным вкладом в библиографию грузинской ботаники и будет постоянно использоваться ботаниками и библиографами“.

1965 წელს ბებიკო თამარმა შეადგინა ფუნდამენტური ნაშრომი: **„თბილისის ბოტანიკური ბაღის შრომების ბიბლიოგრაფია. 1890-1965“,** რომელიც სამწუხაროდ, დღემდე ხელნაწერის სახით ინახება ბოტანიკური ბაღის ბიბლიოთეკაში. ამ შრომის გამოცემა უდიდეს სამსახურს გაუწევდა როგორც ბოტანიკოსებს, ასევე ბიბლიოგრაფებს“.

1968 წელს გაზეთ **„სახალხო განათლების“ 28 აგვისტოს ნომერში გამოქვეყნდა ტ.კასრაძისა და თ.ღვალაძის სტატია: „ბიბლიოგრაფია – ახალ მოთხოვნათა დონეზე“.**

1969 წელს თბილისში ჩატარდა სსრ კავშირის ბოტანიკური საზოგადოების მე-4 ყრილობა. ამ ყრილობისათვის საქართველოს ბოტანიკური საზოგადოებისა და ბოტანიკის ინსტიტუტის მიერ მოეწყო ვრცელი, ბრწყინვალედ ორგანიზებული გამოფენა – **„ბოტანიკა საბჭოთა საქართველოში“,** გამოფენის ერთ-ერთი ორგანიზატორი და დირექტორი იყო თამარი.

როგორც ყრილობის მონაწილეებმა, ისე რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ხელმძღვანელობამ მაღალი შეფასება მისცეს ამ მნიშვნელოვანი გამოფენის მოწყობას.

1960 წელს თ. ღვალაძე ვლ. უზნაძესთან და ს. თურნავასთან ერთად მონაწილეობდნენ სსრ კავშირის ბიბლიოთეკების მუშაკთა საკავშირო თათბირ-სემინარის მუშაობაში, რომელიც ჩატარდა ქ. ლენინგრადში.

1970 წელს, შრომითი მოღვაწეობის ორმოცდამეათე წლისთავზე ბებიკო თამარმა გადაწყვიტა პენსიაზე გასვლა. ბოტანიკის ინსტიტუტის დირექციამ, ბოტანიკურმა საზოგადოებამ და ცენტრალურმა სამეცნიერო ბიბლიოთეკამ ჩაატარა თამარის მოღვაწეობის 50 წლისთავისა და მისი პენსიაზე გაცილების აღსანიშნავი საღამო, რომელზეც არაერთი თბილი და სამადლობელი სიტყვა ითქვა ღვაწლმოსილი ადამიანის მისამართით. მასვე მიეძღვნა ინსტიტუტის კედლის გაზეთის „საბჭოთა ბოტანიკოსის" მთელი ნომერი. მოვიტან ნაწყვეტებს საღამოს ზოგიერთი მონაწილის გამოსვლიდან.

„ბიბლიოთეკა მსოფლიო აზროვნების საუნჯეა, კარგი ბიბლიოთეკა ხომ საუნჯეთა საუნჯეა. ბიბლიოთეკაშია თავმოყრილი მსოფლიო აზროვნების საუკეთესო ნიმუშები და რამდენადაც იგი სრულია, იმდენად მისი მრევლი უფრო ხალისით და ხარბათ დაეწაფება ამ ცოდნის წყაროს. ბიბლიოთეკა კი იქმნება მხოლოდ ამ ანკარა წყაროს დიდი მოამაგის და მოყვარულის მიერ. ჩვენი ბიბლიოთეკა ერთ-ერთი ასეთი საუნჯეა, ხოლო მისი დიდი მოყვარული და მოამაგე ქალბატონი თამარია" – აკადემიკოსი ნიკო კეცხოველი.

„ჩვენი კოლექტივის შრომით ფრონტს ტოვებს ვალმოხდილი პატივცემული ქალბატონი თამარი. მისი ხანგრძლივი, უმწიკვლო სამსახური, თითოეულისადმი გულისხმიერი დამოკიდებულება უდიდესი მადლობის გრძნობითაა ასახული თვითოეული ჩვენთაგანის გულში" – აკადემიკოსი ვლადიმერ მენაბდე.

„როგორც ბიბლიოთეკის გამგე თამარი ფასდაუდებელი, შეუდარებელი იყო, მხოლოდ მან მისცა ჩვენს ინ-

სტიტუტს ნამდვილი ბიბლიოთეკა ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით“ – პროფესორი ლუბა კემულარია-ნათაძე.

„თამარ ღვალაძე ახლოს გავიცანი და დავუმეგობრდი იმ პერიოდში, როდესაც ჩვენ ერთად „საქართველოს ფლორის“ პირველ გამოცემაზე ვმუშაობდით. იმისდა მიუხედავად, რომ მაშინ უკვე არსებობდა ქართული ბოტანიკური ტერმინოლოგია, დადგენილი ზ.ყანჩაველის, ნ.კეცხოველის და შემდგომ ალ.მაყაშვილის მიერ, ის მთლიანად ვერ აკმაყოფილებდა სახეობათა აღწერისათვის საჭირო დახვეწილ ტერმინოლოგიას და ხშირად დეტალების აღსანიშნავად გადაუჭრელ დაბრკოლებებს ვაწყდებოდით. ბოტანიკურ აღწერათა თავისებური ლაკონური სტილის დასადგენად ჩვენ მოვიშველიეთ თამარის ზედმიწევნითი ცოდნა ქართული სიტყვისა და მისი კაზმულსიტყვიერებისა. **ახალ საქმეს თამარი მისთვის ჩვეული ენთუზიაზმითა და ენერგიით** შეხვდა. ბევრი საათი გაგვიტარებია ერთად სტამბაში თუ თამარის ბინაზე (რომელიც სტამბის გვერდით იყო) კორექტურის და სტილის სწორებაში. როცა მშრალი დიაგნოზების კითხვა-სწორება მოგვბეზრდებოდა, თამარი ქართული პოეზიის საუკეთესო ნიმუშებს გვიკითხავდა გატაცებით. თამარი იყო „საქართველოს ფლორის“ პირველი გამოცემის მე-3 მე-8 ტომების სტილისტური რედაქტორი“ – დოცენტი ანა ხარაძე.

ბებიკოს სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან არც პენსიაზე გასვლის შემდეგ დაანება თავი საყვარელ საქმეს. იგი რამდენიმე წლის მანძილზე იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის საბიბლიოთეკო სამეცნიერო საბჭოს წევრი-კონსულტანტი (1971-1974 წლები), საჭირო რჩევა-დარიგებებს აძლევდა საბიბლიოთეკო დარგის მუშაკებს.

1983 წელს მან მუშაობა დაასრულა **„ქართული მუსიკალური ნაწარმოებების ბიბლიოგრაფიაზე“**, რომელიც მოიცავს 100 წელს (1871-1971), მასალების აღწერილობებს. ბიბლიოგრაფიაში შესულია პირველი ვარიანტიც შევსებული და შესწორებული სახით. ეს ფუნდამენტური, ძვირფასი შრომა, რომელსაც გამოსაცემად საქართველოს სახელმწიფო ეროვნული ბიბლიოთეკის მუსიკალური ლიტერატურის განყოფილების გამგე ა.მიგინეიშვილი და ავტორის შვილიშვილი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ლევან ურუშაძე ამზადებდნენ, გამომცემლობა „განათლებაში“ დაისტამბა.

1984 წელს თ.ღვალაძემ შეადგინა **„პროფესორ გრიგოლ ფილიმონის ძე წერეთლის ბიბლიოგრაფია“**, რომელიც ხელნაწერის სახითაა დაცული.

თამარს ეკუთვნის არაერთი გამოქვეყნებული მოგონება გამოჩენილ ქართველ მწერალზე და საზოგადო მოღვაწეზე. მოსაგონარი კი ბევრი ქონდა. ჯერ კიდევ 1923-1937 წლებში ევგენ და თამარ ღვალაძეების ბინა განოვის (ახლა გალაკტიონის) ქუჩის №9 სახლში ერთგვარ ლიტერატურულ სალონს წარმოადგენდა. აქ ხშირად იყრიდნენ თავს ამ ოჯახის ახლო მეგობრები: თედო სახოკია, გიორგი ახვლედიანი, ალექსანდრე (ალიოშა) წერეთელი, ვახტანგ კოტეტიშვილი, გალაკტიონ ტაბიძე, ვიქტორ ბროსე, მარიამ ხოშტარია, ხარიტონ ვარდოშვილი, ივანე ციციშვილი, სეით დევდარიანი, პეტრე ქავთარაძე და სხვა სახელოვანი მოღვაწენი. მათ გარდა გენო ღვალაძე მეგობრობდა ივანე ჯავახიშვილთან, შალვა ნუცუბიძესთან, ალექსანდრე ვაჩეიშვილთან, ლუარსაბ ანდრონიკაშვილთან, ვასილ წერეთელთან (იგი გენოს ნათლია გახლდათ), ტერენტი გრანელთან, ტიციან ტაბიძესთან, გრიგოლ რობაქიძესთან

(დიდი მწერალი ღვალაძეების უფროსი შვილის ლონდას ნათლია იყო), შალვა აფხაიძესთან, ვარლამ თოფურიასთან, ლადო გეგეჭკორთან, ქრისტინე შარაშიძესთან, დავით კასრაძესთან, ბაბო წერეთელთან, ქეთევან დათიკაშვილთან...

1973 წელს გამომცემლობა „მერანმა“ აკადემიკოს ნიკო კეცხოველის რედაქციითა და წინასიტყვაობით გამოსცა პირველი მსოფლიო ომის დროს უდროოდ დაღუპული შესანიშნავი ქართველი პოეტის გრიგოლ მეგრელიშვილის („მთის ნიავი“) ლექსებისა და პოემების კრებული „შუქურვარსკვლავი“. ამ კრებულის მასალების უდიდესი ნაწილი მოძიებული და შეკრებილი იყო თამარის მიერ. გარდა ამისა, მან შეკრიბა გრ. მეგრელიშვილის სხვა უცნობი ლექსებიც.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს დედაჩემისგან გაგონილი: გალაკტიონი შეხვედრისას ბებიკოს ხელებს დაუკოცნიდა და დაკოცნილ ხელებს გულთან მიიხუტებდა.

გალაკტიონისა და იოსებ გრიშაშვილის არაერთი შესანიშნავი ქმნილების პირველმსმენელი და ზეპირად შემსწავლელი ყოფილა ბებიკო თამარი.

სახელოვანი მკვლევარ-ბიბლიოგრაფისა და პედაგოგის დამსახურება ეროვნული კულტურის წინაშე აღნიშნულია არაერთი ჯილდოთი. 1941 წელს მას მიენიჭა უფროსი მეცნიერ თანამშრომლის სამეცნიერო წოდება, 1960 წელს საქართველოს საპატიო, ხოლო 1962 წელს რესპუბლიკის დამსახურებული ბიბლიოთეკარის საპატიო წოდებები. 1961 წელს ბებიკო თამარი დაჯილდოვდა საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამარ კუცია-ღვალაძის შრომები

1. ივ. ციციშვილი, ვ. ბროსე, გ. ბერულავა, თ.კუცია-ღვალაძე და სხვ. ტფილისის ბიბლიოთეკების ქართული წიგნების შეერთებული კატალოგი. ნაკვეთი 1 (1921-1924 წწ.). ჟურნ. „წიგნის მეგობრის" (1925, №1-2) დამატება. 125 გვ.

2. თ. კუცია-ღვალაძე. აკაკის ლირიკა (ბიბლიოგრაფიულ-ქრონოლოგიური საძიებელი). აკაკი წერეთელი. რჩეული თხზულებანი, ტ.4, ტფილისი, 1928, გვ. 285-331.

3. თ. კუცია-ღვალაძე. უცხოელი და რუსი ავტორები ტფილისზე (ბიბლიოგრაფიული ნარკვევი). გაზ. „ლიტერატურული გაზეთი", №24, 1934.

4. თ. მაჭავარიანი, თ. კუცია-ღვალაძე. შოთა რუსთაველი უცხოეთის ლიტერატურაში (ანოტირებული ბიბლიოგრაფია). საქართველოს სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკის შრომები, ტ. 4, ტფილისი, 1938.

5. თ. კუცია-ღვალაძე. გაზეთის სტატიების მატიანე №32, თბილისი, 1939, საქართველოს სახელმწიფო წიგნის პალატის გამომცემლობა, 1939.

6. თ. კუცია-ღვალაძე. გაზეთის სტატიების მატიანე, №12 (1940). საქართველოს სახელმწიფო წიგნის პალატის გამომცემლობა, თბილისი, 1940.

7. თ. კუცია-ღვალაძე და სხვ. გაზეთის სტატიების მატიანე, №7 (1941). საქართველოს სახელმწიფო წიგნის პალატის გამომცემლობა, თბილისი, 1941.

8. თ. კუცია-ღვალაძე და სხვ. რეზენციების ბიბლიოგრაფია (ქართული წიგნები და ჟურნალ-გაზეთები. 1930-1938 წწ.). საქართველოს სახელმწიფო წიგნის პალატის გამომცემლობა, თბილისი, 1941, 58 გვ.

9. თ. კუცია-ღვალაძე, ქრ. შარაშიძე, თ. ნაკაშიძე, ვ. ჯოჯუა და სხვ. (წიგნის პალატის კოლექტივი). ქართული წიგნი. ბიბლიოგრაფია. ტ. L (1629-1920 წწ.). საქართველოს სახელმწიფო წიგნის პალატის გამომცემლობა, თბილისი, 1941. 560 გვ.

10. თ. კუცია-ღვალაძე. „მცენარეთა სისტემატიკისა და გეოგრაფიის ნარკვევების" 1-10 გამოშვებების შინაარსი, მცენარეთა ლათინური სახელწოდებებისა და სტატიების მაჩვენებელი. „მცენარეთა სისტემატიკისა და გეოგრაფიის ნარკვევები", გამოშვება 10. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1941. გვ. 63-137.

11. თ. კუცია-ღვალაძე. ქართულ მუსიკალურ ნაწარმოებთა ბიბლიოგრაფია (1872-1946 წწ.). საქართველოს სახელმწიფო წიგნის პალატის გამომცემლობა, თბილისი, 1947, 155 გვ.

12. თ. კუცია-ღვალაძე და სხვ. ქართული წიგნი. ბიბლიოგრაფია. ტ. მე-2 1921-1945 წწ.). ნაკვ. I. გამომცემლობა „ტექნიკა და შრომა", თბილისი, 1950, 819 გვ.

13. თ. ღვალაძე. თბილისის ბოტანიკის ინსტიტუტის პერიოდული გამოცემების სტატიების ბიბლიოგრაფიული მაჩვენებელი (1895-1955 წწ.). საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა. თბილისი, 1956, 86 გვ.

14. თ. ღვალაძე. „მცენარეთა სისტემატიკისა და გეოგრაფიის ნარკვევების" მე-11-მე-20 გამოშვებების შინაარსი, მცენარეთა ლათინური სახელწოდებებისა და სტატიების ბიბლიოგრაფიული მაჩვენებელი. „მცენარეთა სისტემატიკისა და გეოგრაფიის ნარკვევები", გამოშვება მე-20, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა. თბილისი, 1958, გვ. 63-89.

15. თ. ღვალაძე. თბილისის ბოტანიკის ინსტიტუტის შრომათა ბიბლიოგრაფია (1933-1959). საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა. თბილისი, 1960, 157 გვ.

16. თ. ღვალაძე. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის თბილისის ცენტრალური ბოტანიკური ბაღის შრომათა ბიბლიოგრაფია (1890-1965 წწ.). თბილისი, 1965. ხელნაწერი (ინახება თბილისის ცენტრალური ბოტანიკური ბაღის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში). 500 გვ.

17. თ. კუცია-ღვალაძე და სხვ. ქართული წიგნი. ბიბლიოგრაფია. ტ.2 (1921-1945 წწ.). ნაკვ. მე-2. გამომცემლობა „ტექნიკა და შრომა", თბილისი, 1951, 570 გვ.

18. ტ. კასრაძე, თ. ღვალაძე. ბიბლიოგრაფია ახალ მოთხოვნათა დონეზე. გაზ. „სახალხო განათლება", 28 აგვისტო, 1968.

19. თ. ღვალაძე. აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი – ქართული მეცნიერული ბიბლიოგრაფიისა და საბიბლიოთეკო საქმის მოჭირნახულე. გაზ. „თბილისის უნივერსიტეტი", №29, 1988.

20. თ. ღვალაძე. ვასილ წერეთელი. გაზ. „ლიტერატურული საქართველო", 09.09.1988.

21. თ. ღვალაძე. შინაარსიანი ცხოვრება (მოგონება ქრისტინე შარაშიძეზე). „წიგნის სამყარო", 13.07.1988.

22. თ. ღვალაძე. მცირე მოგონება „შალვა ნუცუბიძის კურსებზე". გაზ. „სახალხო განათლება", №101, 1988.

23. თ. ღვალაძე. ქართულ მუსიკალურ ნაწარმოებთა ბიბლიოგრაფია (1871-1971 წწ.). გადაცემულია გამომცემლობა „განათლება"-ში. 600 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თ. კუცია-ღვალაძის
რედაქციით გამოცემული შრომები

1. ორნიშნა საავტორო ტაბულები, შედგენილი კეტერის მეთოდის მიხედვით (სახელმძღვანელო), საქართველოს სახელმწიფო წიგნის პალატის გამომცემლობა, თბილისი, 1941.

2. 2-7. ავტორთა კოლექტივი. საქართველოს ფლორა. ტტ. მე-3, მე-8. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1947-1955 (სტილისტური რედაქტორი).

ლიტერატურა თ. კუცია-ღვალაძეზე

1. ს. თურნავა. ერთ-ერთი უძველესი (თამარ ღვალაძეზე და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის თბილისის ბოტანიკური ბაღის სამეცნიერო ბიბლიოთეკაზე). გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი", 18 ოქტომბერი, 1960.

2. დიდი საბჭოთა ენციკლოპედია. მე-2 გამოცემა. ტ. 30, მოსკოვი. 1954, გვ. 197 (სტატია „ნოტოგრაფია").

3. გ. მიქაძე. ღვაწლმოსილი ბიბლიოგრაფი. ჟ. „წიგნის სამყარო", ოქტომბერი, 1986.

4. თ. ნაკაშიძე. ქართული მეცნიერული ბიბლიოგრაფიის მოჭირნახულე, თბილისი, 1992.

ბებიკო ძალიან ახლოს იყო უფროსი დეიდის ლონდას მეგობრებთან. ხშირად ხვდებოდა მათ ღვალაძეების ოჯახში. ერთ-ერთ ასეთ შეხვედრაზე მოგვითხრობს რევაზ თვარაძე (რევაზ თვარაძე. ჟ. „კრიტიკა", ივლისი-აგვისტო, №4, „მოგონებები იმ დღეებისა, როცა იელვა", 1990, თბილისი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოგონებები იმ დღეებისა, როცა იელვა

ეს წერილი ორი თუ სამი მცირე მოგონებით უნდა დავიწყო, იმ დღეების მოგონებით, როცა იელვა.

1945 წლის გაზაფხულის ერთ საღამოს არჩილ სულაკაური, თამაზ ჩხენკელი და მე სტუმრად გახლდით სოლოლაკში, ღვალაძეების ოჯახში. ამ ოჯახის უფროსი ქალიშვილი – ლონდა ჩვენი მეგობარი იყო. მათი მამა 1937 წელს ემსხვერპლა (ლონდა გრიგოლ რობაქიძის ნათლული ყოფილა და სხვა მიზეზი ალბათ არც იქნებოდა საჭირო, მამამისი ხალხის მტრად რომ შეერაცხათ!). ოჯახის დიასახლისი, ქალბატონი თამარ კუცია-ღვალაძე სათნო მანდილოსანი, მწერლობისა და მრავალი მწერლის კარგად მცნობელი, უამრავ საინტერესო ამბავს მოგვითხრობდა ხოლმე. იმ საღამოს გვიამბო:

ოცდაოთხი წლის აჯანყება სისხლში რომ ჩაახშეს, გალაკტიონ ტაბიძემ დაწერა პოემა **„მოგონებები იმ დღეებისა, როცა იელვა“**. ეს პოემა იმავე წელს „მნათობში“ დაიბეჭდა, მაგრამ „მნათობის“ ის ნომერი არ გავრცელებულა, ტირაჟი მოსპეს, რადგან, მართალია, პოემაში თითქოს უცხოეთზე იყო საუბარი, სინამდვილეში ძნელი მისახვედრი არ იყო, რომ საქართველოს ოცდაოთხი წლის აჯანყებას ეძღვნებოდა. მაშინ გალაკტიონი დააპა-

ტიმრეს და რამდენიმე თვეს ციხეში იჯდა. ის პოემა მეც ჩამივარდა ხელში, იმ პირობით გადმომცეს, რომ დავიზეპირებდი და დავწვავდი.

შემდეგ ქალბატონმა თამარმა მთელი პოემა ზეპირად წაგვიკითხა. იშვიათი დეკლამაციური ნიჭით იყო დაჯილდოებული, ყოველგვარი ყალბი პათოსის გარეშე კითხულობდა, სადად, ინტიმურად. უნდა მოგახსენოთ, გალაკტიონის ნაწარმოებების იმგვარ წამკითხველს ვეღარსად შევხვდი შემდგომში.

ჩვენ, ჩვიდმეტ-თვრამეტი წლის ჭაბუკები, გაოგნებულნი ვისხედით. იმხანად ოცდაოთხი წლის მარტოოდენ ხსენებაც არ იყო უხიფათო, არამცთუ ამ ამბის შესახებ დაწერილი პოემის წაკითხვა. და, აი, ამნაირი ბედნიერება გვხვდა წილად!

ჩაგვაწერინეთო, – შევემუდარეთ ქალბატონ თამარს.

ჩაწერას დიდი დრო დასჭირდება, ამაღამ რაღა მოესწრება, დღეის სწორს მობრძანდით და ჩაგაწერინებთო, – მოგვიგო.

მთელი ის კვირა მთვარეულივით დავბორიალობდი. მით უმეტეს, ჩვენ სამთაგან გალაკტიონის პოეზიის ყველაზე მეტად მოყვარულად თუ მცოდნედ მე ვიყავი აღიარებული, ასე რომ ჩამწერის პატივიც მე მარგუნეს ძმაკაცებმა. რას წარმოვიდგენდი, როგორი თავზარდამცემი გაწბილება გველოდებოდა!

დათქმულ დღეს, დათქმულ საათზე რომ ვეახელით, ქალბატონმა თამარმა ამგვარი რამ ბრძანა: ვერ ჩაგაწერინებთ, სულ დამავიწყდაო ტექსტი.

დიახ, ის ტექსტი, ოც წელიწადს ზეპირად რომ ახსოვდა, ერთ კვირაში დავიწყებოდა უკვე!

ღმერთო, გაანათლე იმ სპეტაკი ადამიანის სული! ის, რაც ჩვენ გვითხრა, ტყუილი არ ყოფილა, ამას გვიან

ეროვნული ბიბლიოთეკა

მივხვდით. შიში იყო ეს, დღესდღეობით ალბათ ძნელად წარმოსადგენი, დამთრგუნველი შიში: რაგინდ სანდო ახალგაზრდებადაც უნდა მივეჩნიეთ ჩვენ სამივენი, ხომ შეიძლებოდა რომელიმე ჩვენთაგანს ყმაწვილკაცური თავქარიანობით სხვასთანაც წამოსცდენოდა ეს ამბავი. ასეც მოხდებოდა უეჭველად. არადა, ამბავი რომ გახმაურებულიყო ერთადერთი შედეგი მოჰყვებოდა: ქალბატონ თამარსაც მეუღლის გზას გაუყენებდნენ და ოთხი შვილი (ლონდა და ლატავრას გარდა კიდევ უმცროსი და-ძმა იზრდებოდა ოჯახში) უპატრონოდ დარჩებოდა, ყოვლგნით, ხელაღუპყრობელი და განწირული...

გავიდა ათიოდე წელი. მე გაზეთ „სახალხო განათლების" რედაქციაში ვმუშაობდი. გაზეთის რედაქტორს ვუყვარდი, მინდობილი იყო ჩემზე. ერთ საღამოს, საღამოს კი არა, კარგა გვიან ღამე წვეულებიდან ვბრუნდებოდით, რაც მაშინ მითხრა, იმის თქმას ფხიზელი ვერ გაბედავდა, რაღა თქმა უნდა, ი. ჯუღაშვილი უკვე აღარ იყო ამქვეყნად:

ოცდაოთხი წლის აჯანყება რომ მოხდა, მთავლიტში ვმუშაობდიო, მიამბო – მაშინ გალაკტიონმა რაღაც პოემა დაწერა და „მნათობში" დაბეჭდა. მაგრამ, სანამ ტირაჟი გავრცელდებოდა, მიუხვდნენ, რაზეც იყო პოემა დაწერილი და მთელი ტირაჟი მოსპეს, ოღონდ ერთი სამთავლიტო ეგზემპლარი მე შემომრჩა და ახლაც შენახული მაქვსო. ისე, იმ პოემისთვის გალაკტიონი რამდენიმე თვეს ციხეში იჯდაო.

წარმოიდგინეთ, რა დამემართებოდა ამის გამგონეს! მაჩვენეთ-მეთქი ეს ჟურნალი, – იმასაც შევემუდარე. აუცილებლადო, – მითხრა, – ხვალ წამოვიძღვანიებ სამსახურშიო.

მაგრამ ვერც ხვალ და ვერც შემდგომში იმ ჟურნალის ნახვას ვერ ვეღირსე. რომ გამოფხიზლდა, სხვაგვარი სიტყვა

ბრძანა: ვეძებე და ვეღარ მივაგენი, ეტყობა დამკარგვიაო. ეშინოდა, რასაკვირველია. ვერც გავამტყუნე ამგზობაზეც გაწბილებულმა...

კარგა ხნის შემდეგ ამ ორი სხვადასხვა პირის მიერ მოთხრობილი აბსოლუტურად იდენტური ამბავი ერთმა სახელოვანმა მწერალმა დამიდასტურა:

ოცდაოთხის აჯანყებაზე გალაკტიონმა რაღაც ანტისაბჭოთა პოემა დაწერა („მნათობის" ამბავი არ უხსენებია). დაიჭირეს და რამდენიმე თვეს ციხეში იყო. არ ვიცი, რა დამართეს ასეთი, რომ იქიდან სხვა კაცად გამოვიდა: თავისი საამო მკერდისმიერი ბოხი ხმის ნაცვლად გაწვრილებულ ხმაზე ალაპარაკდა, თითქოს მასხარად გვაჩვენებდა თავს, სერიოზულ საუბარში არასგზით არ ჩამოგყვებოდა, ლოთობითაც ამის მერე გალოთდა, მანამდე ღვინოს არ ეტანებოდაო. სხვათა შორის, ერთხელ რაღაცაზე გაცეცხლებულმა გალაკტიონმა იმ თავისი განზრახ გაწვრილებული ხმის ნაცვლად კვლავ ძველებური, მკერდისმიერი ბოხი ხმით შემომიტია და ეს იმდენად მოულოდნელი აღმოჩნდა ჩემთვის, უცბად კიდეც შევშინდიო...

გალაკტიონის ლექსი „გორიდან", რომელიც ტრადიციისამებრ, იბეჭდება ქართლის პეიზაჟებისადმი მიძღვნილ მშვენიერ ციკლში („არაგვი", „სამხედრო გზაზე", „ავჭალის იქით", „ზაჰესთან", „მცხეთამდე", „მცხეთიდან", „რა მშვენიერი მინდვრებია", „გავსცდით ხანდაკს". იხილეთ გალაკტიონის 1977 წლის „რჩეული" გვ. 439-442) წავიკითხოთ ეს ლექსი:

მე არ მეცალა, გორში დავრჩი სულ ერთი ღამე...
როგორც კი ლიახვს მოედინა დილის ნიავი,
გზა ტირძნისისკენ... ვრცელი ველი ტირიფონისა.
სამხრეთ ოსეთის საზღვრებთან ვარ... აჰა, ტყვიავი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაშასადამე ბიჯი ერთი და – საზღვარგარეთ!
საითკენაც გსურს, რომ გინდოდეს, წავლენ სიონი...
მაგრამ რა კარგი სანახავი იშლება არეთ –
სულ ახლოს არის თეთრი მთები კავკასიონის,
მთები რომელზეც, ლეგენდების თქმით, რა ხანია
მუდმივ თოვლი და მიჯაჭვული ამირანია.

სხვისი რა მოგახსენოთ და ოციან წლებში დაწერილი ეს ლექსი მე დიდებულ პოლიტიკურ პამფლეტად მიმაჩნია, მრავალგანსმენილი ბოლშევიკური „ბრძნული ეროვნული პოლიტიკის“ სრულ გამასხარავებად, სტალინის, ორჯონიკიძის და ძმათა მათთა მიერ დაგლეჯილ-დანაკუწებული საქართველოს გამოტირებადაც.

დავუკვირდეთ: ქართლის პეიზაჟის მშვენიერი და ყოვლად უწყინარი ჩანახატი (პირველი სამი სტრიქონი) და უცებ – ნაღმის აფეთქება: **„სამხრეთ ოსეთის საზღვართან ვარ... აჰა, ტყვიავი!“** და ტყვიავთან მდგარი კაცის ირკასტული ფიქრი: **„მაშასადამე ბიჯი ერთი და – საზღვარგარეთ!“**

მეტი კომენტარი ალბათ აღარ არის საჭირო. ოღონდ იმას შეგახსენებთ, რომ ყურადღება მიაპყროთ ლექსის ბოლო ორ სტრიქონსაც, გულისშემძვრელი ნაღველის გამომხატველ სტრიქონებს: ამირანი უძველესი დროიდან მიჯაჭვული იყო კავკასიონის მთას (ლიტერატურული ტრადიციის თანახმად, ეს, მოგეხსენებათ, ნიშნავს, რომ საქართველო არის მიჯაჭვული, მტერთაგან დათრგუნვილი), ოღონდ ნაღველს ის აღძრავს, რომ თურმე არაფერი შეცვლილა, ამირანი კვლავ მიჯაჭვულია, საქართველო კვლავ იავარქმნილია!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ამ წიგნის შინაარსი ძირითადად ბებიკოს ნაამბობიდან არის აწყობილი

ბებიკო, ჩემი საყვარელი ბებიკო. ერთხელ ბებიკომ მითხრა – შენ ჩემი სიბერის სიხარული ხარო. მე ბებიკოს ვთხოვე ჩემსკენ დახრილიყო. ჩავეხუტე და ბევრჯერ, ბევრჯერ ვაკოცე.

ბებიკო ძალიან უყვარდა ჩემი უფროსი დეიდის – ლონდას მეუღლეს – ლევან ჭაბუკიანს (მე ლევანი მშობლებმა მის პატივსაცემად დამარქვეს). აქ ერთი ამბავი მინდა გავიხსენო. დედაჩემი ლონდა დეიდასთან მივიდა. კარი ჩემმა დეიდაშვილმა ბაჭომ (ამირანმა) გაუღო. ბინაში შესულ დედაჩემს შემდეგი სურათი დახვდა – ნასვამ ლევან ბიძიას ბებიკო ყავდა ხელში აყვანილი, ეფერებოდა და მადლობას უხდიდა იმის გამო, რომ მან ასეთი კარგი ლონდა გაუზარდა. ბებიკო მამაჩემსაც ძალიან უყვარდა. იცოდა ბებიკოს რომელი მწერლები მოსწონდა, ყიდულობდა მათ წიგნებს და გულთბილი წარწერით ჩუქნიდა.

ნათლიაჩემმა რევაზ დოლონაძემ მამა მოსკოვში მიიპატიჟა საკვალიფიკაციო თემაზე სამუშაოდ, შემოუთვალა, რომ თემა იქნება ბიოფიზიკაში (მამა მაშინ მცენარეთა ბიოქიმიის ინსტიტუტში მუშაობდა), მცენარეთა ბიოქიმიას ზურაბი მოუვლის, ფიზიკაში კი რეზო მიეხმარება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დედამ ბებიკოს უთხრა – მოსკოვში ზურაბის შენახვა ძნელი იქნება, გაგვიჭირდებაო. ბებიკომ უპასუხა – მარტო ხომ არ დაგტოვებ, მე შენთან გადმოვალ ჩემი პენსიით, ზურაბი მოსკოვში აუცილებლად უნდა წავიდესო! მამა მოსკოვში წავიდა. რეზომ და მამამ დღე და ღამე გაასწორეს. ზაფხულში რეზო თბილისში ჩამოდიოდა, ფაქტიურად ჩვენთან ცხოვრობდა – დილას ადრე მოდიოდა, სახლში შუაღამისას მიდიოდა დასაძინებლად. ბებიკო პატრონობდა რეზოს და ზურაბს. ბებიკოს წყალობით მათ არაფერი აკლდათ. ზურაბმა ორ წელიწადში მოსკოვში დაიცვა ბრწყინვალე დისერტაცია, მალე პროფესორიც გახდა.

ბებიკომ შემიყვანა სკოლაში. მახსოვს კლასში შესვლა არ მინდოდა, არ მინდოდა ბებიკოს დატოვება. ბებიკო დამპირდა: შენ კლასში შედი, მე აქ დაგელოდებიო. გაკვეთილზე ხელი ავწიე და მასწავლებელს ვუთხარი: გარეთ გავიხედავ, ბებიკოს ვნახავ. მასწავლებელმა ხელი მომკიდა და ბებიკოს სანახავად ორივენი გავედით. ბებიკო სკამზე იჯდა და მელოდებოდა.

ზედა კლასებში მე უკვე დიდი ვიყავი და შემეძლო სკოლიდან მარტოკას მისვლა, მაგრამ სწავლის დამთავრების შემდეგ, სკოლის ეზოში სკამზე დამჯდარი ბებიკო მელოდა. მერე ფეხით მივდიოდით ლაღიძის წყლებში. ბებიკომ იცოდა, რომ ლაღიძის ხაჭაპურს არ შევჭამდი, თუ ისიც არ მიირთმევდა (დედა ბებიკოს ყოველთვის აძლევდა ფულს). ლაღიძის წყლებიდან სახლში ტროლეიბუსით მოვდიოდით (როგორი უპატიებელი რამ გაკეთდა, როცა ლაღიძის წყლები დაუკარგეს თბილისს!!!).

ჩემი ბებიკო, ჩემი საყვარელი ბებიკო... ბებიკომ შემაყვარა ჩემი საქართველო, მასწავლა და შემაყვარა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ისტორია, ბებიკომ მასწავლა – რა საქმესაც მოკიდებ ხელს, უნდა ეცადო მაქსიმალურად კარგად გაკეთებას. ბებიკომ შემაყვარა ჩემი ბაბუა, ბებიკომ მასწავლა სხვების სიყვარული, ბებიკომ დამიფარა ყველაფერი ცუდისაგან, ყველაფერი ავისაგან, ძალიან ვცდილობდი ჩემი საქციელით მას გული არ ტკენოდა. ჩემი ბებიკო... ჩემი საყვარელი ბებიკო... ჩემი ძალიან საყვარელი ბებიკო...

გამოყენებული ლიტერატურა

1. კალანდარიშვილი ო. პარიტეტული კომიტეტის საგამოძიებო საქმე, თბილისი, 1994.
2. ჩუბინიძე ე. მოგონება, წიგნი მეორე, პარიზი, 1953.
3. ღვალაძე ე. „ადვოკატურა და ეთიკა“, გაზ. „ტრიბუნა“, ნოემბერი, 1922.
4. ღვალაძე ე. „აფხაზეთი უახლოეს წარსულში და დღეს“, გაზ. „დამოუკიდებელი საქართველო“, №86-92, პარიზი, 1933.
5. ღვალაძე ე. „აცდენილი გზით“, გაზ. „ლომისი“, 13, თბილისი, 1922.
6. ღვალაძე თ. „უცხოელი და რუსი ავტორები ტფილისზე“, „ლიტერატურული გაზეთი“, №24, 1934.
7. თვარაძე რ. „მოგონებები იმ დღეებისა, როცა იელვა“, ჟ. „კრიტიკა“, №4, თბილისი, 1990.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სარჩევი

ჩემი ბაბუა – ევგენ ღვალაძე სამშობლოს
დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში
დაფერფლილი სიცოცხლე 5
ჩემი ბებიკო თამარ კუცია-ღვალაძე.....28
თამარ კუცია-ღვალაძის შრომები.....45
თ. კუცია-ღვალაძის რედაქციით გამოცემული შრომები..48
ლიტერატურა თ. კუცია-ღვალაძეზე.....48
მოგონებები იმ დღეებისა, როცა იელვა.....49
ამ წიგნის შინაარსი ძირითადად ბებიკოს ნაამბობიდან არის
აწყობილი.....54
გამოყენებული ლიტერატურა 56

4/6
6 52/770

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს პარლამენტის ეროვნული საკანონმდებლო ბიბლიოთეკა
№ 2114 2018 წ.

სტამბა დამანი
Print House Damani
თბილისი, პ. ჩანჩიბაძის ქუჩა 6
☎ 2143401, 577333855
stamba.damani@gmail.com
სტამბა დამანი/Print House Damani

F 117.666
3

978-9941-9508-2-7
9 789941 950827